საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 5 თებერვალი. 2024 წ. №14 (9694) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიანიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცქილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ქართული აგენტურა – შიგნიდან გაჭეხილი ცხე

იხ. 3-4 გვ.

უკანონო ენჯეოკრატია საქართველოში მაშინ მოისპობა, როცა ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას ქართველი ხალხი დააფინანსებს!

პირველი ქალი-სელექციონერი საქართველოში

აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე – 125

ღარიბაშვილი – გარანჭი, კობახიძე – სტაბილურობის შემნარჩუნებელი, ივანიშვილი – ისტორიის შემოქმედი და რაინდი

იხ. 3 გვ.

თოვა, ქარბუქი და შტორმი – საქართველოში ამინდი გაუარესდება

დღეიდან, 5 თებერვლიდან საქართველოში ამინდი გაუარესდება. მთელს ქვეყანაში თოვაა მოსალოდნელი, მთაში კი – ქარბუქი. სინოპტიკოსების ინფორმაციით, ზღვაზე ძლიერი, 6 बალამდე შტორმი იქნება.

დიდთოვლობის, ხილვადობის გაუარესების, ქარბუქის, ლიპყინულის და ზვავსაშიშროების გამო საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე შესაძლებელია შეიზღუდოს ტრანსპორტის მოძრაობა. უამინდობა საქართველოში ოთხი დღე გაგრძელდება.

ხვიჩა კვარაცხელია საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა

ხვიჩა კვარაცხელია, სპორტული ჟურნალისტების ვერსიით, საქართველოს 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენია.

„ნაპოლისა“ და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი პირველი ფეხბურთელია 42 წლის (1981 წელი) შემდეგ, რომელიც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად ფეხბურთელი სამჯერ დაასახელეს – სლავა მეტრეველი 1964 წელს, პირველი გამოკითხვის გამარჯვებული გახდა, 1967 წელს – მურთაზ ხურცილავა, ხოლო 1981 წელს – რამაზ შენგელია. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ასევე დაასახელა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. ლეგენდარულ ძალოსანს ლაშა ტალახაძეს 21-ე საუკუნის დასაწყისის საუკეთესო სპორტსმენის ჯილდო გადაეცა.

თეიმურაზ ქორიძე:

როგორც ედუარდ ბერნაესი ამბობდა...

ორიოდე ტკბილი სიტყვა თანამედროვე ტელე და ინტერნეტრეკლამების შესახებ

იხ. 6-7 გვ.

ლევან გორგაძე სუმოდან ოფიციალურად გაიცილეს

გუშინ ტოკიოში...

სპეციალური დონისძიება გუშინ ტოკიოში, „რიოგოკუ კოკუგიკანის“ სასახლეში გაიმართა. სასახლეში შედგა თმის კვეთის ცერემონია („დანპაცუ-შიკი“), რომელშიც მონაწილეობა მოქმედმა და ყოფილმა სუმოისტებმა მიიღეს, მათ შორის იყო ლეგენდარული იოკოძუნა ასაშორიუც. ტოჩინოშინმა კარიერის დასრულების შესახებ 2023 წლის მაისში გამოაცხადა. ბოლოს ის სუმოს რანგით მეორე დივიზიონში, ჯურიოში გამოდიოდა.ლევან გორგაძემ 2018 წლის იანვარში იმპერატორის თასი მოიპოვა, ხოლო იმავე წლის მაისში ოძეკის წოდება მიიღო, რაც მეორეა სუმოს იერარქიაში.

* * *

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე იოსებ ბაღათურია ტოკიოში ლევან გორგაძის კარიერის დასრულების აღსანიშნავ ცერემონიას დაესწრო. ისტორიულ დღეს ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში, უცხოელი დიპლომატები, მაღალი დონის სტუმრები, ლევან გორგაძის ოჯახის წევრები, იაპონიაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და უამრავი გულშემატკივარი.

ევროპული საქართველოს მშენებლობისთვის

რა წერია სამთავრობო პროგრამაში?!

სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ 2 თებერვალს განახლებულ მთავრობასთან ერთად საქართველოს პარლამენტს წარედგინა.

პროგრამა ოთხ მთავარ სფეროს მოიცავს: საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები;

ეკონომიკური განვითარება;

სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება;

სახელმწიფო მმართველობა.

„თავისუფალი, უსაფრთხო და ეკონომიკურად ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა დემოკრატიული ღირებულებების სისტემას ეფუძნება, სადაც მთავარი მიზანი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაა.

2023 წლის 14 დეკემბერს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებით ახალ, ისტორიულ ეტაპზე გადავიდა ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი, აღნიშნული ლოგიკური გაგრძელებაა „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის, რომლის შედეგად, 2014 წელს ქვეყანამ ევროკავშირთან გააფორმა ასოციირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ჩათვლით, ძალაში შევიდა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი და სხვ. ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ხელისუფლების თითოეული ნაბიჯი ემსახურება საქართველოს კონსტიტუციაში ასახულ ქართველი ხალხის ურყევ ნებას – ჩვენი ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების შესახებ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოს განვითარება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციის, სერიოზული გლობალური და რეგიონული კრიზისების ფონზე უწევდა. მოლო წლებში გამოწვევები, სამწუხაროდ, კიდევ უფრო გაიზარდა და გამძაფრდა. ამ ფონზე, საქართველოს მთავრობის უცვლელ პრიორიტეტად რჩება ჩვენი ქვეყნის სტაბილურობა და უსაფრთხოება, თითოეული ოჯახის დაცულობა, ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, მშვიდობიანი გზით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

საგარეო პოლიტიკა

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, მთავარ ამოცანად რჩება საქართველოს ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა:

„სახელმწიფოს მთავარ ამოცანად რჩება საქართველოს ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა, დეოკუპაცია, საქართველოს რეგიონული და გლობალური როლის კიდევ უფრო განმტკიცება ქვეყნის შემდგომი სწრაფი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. უსაფრთხოების გარემოს მზარდი გამოწვევებიდან გამომდინარე, მთავრობის მიზანია, ტოტალური თავდაცვის მიდგომაზე დაფუძნებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სტრატეგიული მზადყოფნის დონის ამაღლება, ასევე, დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერება, ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტით დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. შედეგად, მთავრობა შეძლებს მოსახლეობისთვის მშვიდი და სტაბილური გარემოს შექმნას“.

დოკუმენტის თანახმად, „მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ევროკავშირთან საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის კიდევ უფრო გამყარება და იმ კომპონენტიდან ურთიერთსარგებლის მიღება, რომელიც ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობასა და ტრანსევროპულ სატრანსპორტო ქსელში ჩართულობას უკავშირდება“.

ანგარიშში რამდენიმეგანაა ნახსენები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები:

„გაგრძელდება ევროკავშირთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის ევროკავშირის სტრატეგიული კომპასით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიმართულებით, რომელიც სხვა მიმართულებებთან ერთად, ხაზს უსვამს შავ ზღვაზე საზღვაო უსაფრთხოების მნიშვნელობას. აქტიურად გაგრძელდება მუშაობა დეოკუპაციის მიმართულებით კონკრეტული, ხელშესახები შედეგების მიღწევისთვის, რაც გულისხმობს ევროკავშირის შუამავლობით, 2008 წლის 12 აგვისტოს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების მიზნით, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის უზრუნველყოფას. ასევე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურება და შესრულება და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის უზრუნველყოფა და ამ პროცესში საერთაშორისო ჩართულობის გაზრდა. მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, გაგრძელდეს მუშაობა პარტნიორებთან, რათა მათ გააძლიერონ ძალისხმევა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ეფექტიან განხორციელებას. მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს სახელმწიფოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიღწეული სიკეთეები და შესაძლებლობები. ამ მხრივ, გაგრძელდება საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ – განხორციელება. დეოკუპაციის ძალისხმევის კვალდაკვალ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზების სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობაზე ზრუნვას, გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგს, ნდობის აღდგენას და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის განვითარებას. გაგრძელდება აქტიური მუშაობა სამშვიდობო პოლიტიკის მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერის შემდგომი მობილიზებისთვის“.

დოკუმენტში საუბარია საქართველოს უერთიერთოგაზე ნატოსთან, აშშ-სა და ჩინეთთან:

პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველო განაგრძობს რეგიონში დაბალანსებული და ურთიერთსასარგებლო პარტნიორულ თანამშრომლობაზე დამყარებული პოლიტიკის გატარებას და ამ გზით, საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას რეგიონის მდგრადი და სტაბილური განვითარების პროცესში:

სამთავრობო პროგრამის მიხედვით, მთავარ ამოცანად რჩება ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანზიტო და ენერგეტიკული მარშრუტების განვითარების კუთხით ქვეყნის როლის გაზრდა:

„საქართველო შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვანი აქტორია, კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ და ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობების გაზრდამ კი, კიდევ უფრო აქტუალური გახადა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში რეგიონული თანამშრომლობის გააქტიურება. აღნიშნულ კონტექსტში, მნიშვნელოვანია შესაბამის ქვეყნებთან სტრატეგიულ-პოლიტიკური კავშირების ისევე როგორც, სექტორული თანამშრომლობის, კიდევ უფრო გაღრმავება. მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა სატრანსპორტოჰენერგეტიკული დერეფნების დივერსიფიცირების მნიშვნელობა საგრძნობლად გაზარდა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ე.წ. „შუა დერეფნის“ როლი აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ტვირთებისა და ენერგომატარებლების შეუფერხებელი და ეფექტური ტრანსპორტირების კუთხით. საქართველო გააგრძელებს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას“.

როგორც სამთავრობო პროგრამაშია ნათქვამი, „დღეს არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებასა და ხელშეწყობას საჭიროებს საზღვარგარეთ ქართული დიასპორა“.

„საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან მყარი კავშირის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია დიასპორასთან ურთიერთობების სისტემური მიდგომის დანერგვა და დიასპორული ინიციატივების წახალისება საგრანტო პროგრამების, ასევე, სხვა სახის პროექტების მეშვეობით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უკვე დანერგილი პროექტების განხორციელებას და მათ გაუმჯობესებას, ასევე, ახალი პროგრამების შემუშავებას, თანამემამულეებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. გაგრძელდება ძალისხმევა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთათვის ახალი კულტურული და საგანმანათლებლო კერების დაფუძნების ხელშეწყობის და მათი განვითარების მიზნით.

მნიშნელოვანი ყურადღება დაეთმობა აქტიურ კულტურულ დიპლომატიას, რომლის გამოყენებით საქართველო გააგრძელებს ქვეყნის საერთაშორისო ხილვადობის გაზრდას და საერთაშორისო კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში ქვეყნის ჩართულობის ხელშეწყობას. მნიშვნელოვან პრიორიტეტად დარჩება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ეკონომიკური განვითარება

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მომავალი მთავრობა გეგმავს ტურიზმის განვითარებას, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი ინვესტიციებისა და სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერას.

„ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანებია მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესება, საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის განუყოფელი ნაწილია ტურიზმის განვითარება, სოფლის მეურნეობის,ადგილობრივი ინვესტიციებისა და სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერა, რაც მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდის წინაპირობებს შექმნის. მთავრობის მიზანია საქართველო იქცეს საკვანძო ეკონომიკურ ჰაბად გლობალურ და რეგიონულ დონეზე. შედეგად, შესაძლებელი გახდება დასაქმების ზრდა და მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება“.

სოციალური პოლიტიკისა და ადამიანური კაპიტალის განვითარება

მთავრობა გეგმავს გაიზარდოს ჯანდაცვის პროგრამის არეალი და ეტაპობრივად მოიცვას დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკიდან რეაბილიტაციამდე პროცესი. ამავდროულად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას.

„მოცემული მიმართულებით მთავრობის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მთავრობის მტკიცე პოლიტიკაა ქვეყანაში სოციალური დაცვის სისტემის გაძლიერება და დასაქმების ხელშეწყობა. ამასთანავე, პრიორიტეტად რჩება ხარისხიანი განათლების სისტემის განვითარება, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მხარდაჭერა, რაც კიდევ უფრო ძლიერი და ცოდნით აღჭურვილი საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს“, – აღნიშნულია პროგრამაში.

სახელმწიფო მმართველობა

დოკუმენტის თანახმად, „მთავრობის უცვლელ პრიორიტეტად რჩება დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა და საჯარო სამსახურის სისტემის განვითარება, რაც ასევე უზრუნველყოფს საქართველოს ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის დაჩქარებას“.

„მთავრობა უწყვეტად განაგრძობს მოქალაქეებისთვის სერვისების კიდევ უფრო მაღალი სტანდარტით მიწოდებასა და რეალურ საჭიროებებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას. სამთავრობო პროგრამა ქმნის მყარ საფუძვლებს მომდევნო წლებში ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და გლობალური მასშტაბით, გვაახლოებს ევროკავშირში გაწევრების ისტორიულ მიზანთან და ემსახურება თითოეული მოქალაქის უკეთეს მომავალს. მთავრობა გამოხატავს სრულ მზაობას, ფართო საზოგადოების ჩართულობითა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, შექმნას საქართველოს ევროპული მომავალი“, – ნათქვამია პროგრამაში.

სამთავრობო პროგრამა საქართველოს პარლამენტს „ქართულმა ოცნებამ“ 2 თებერვალს წარუდგინა. უკვე გაწერილია მთავრობის დამტკიცებისთვის საჭირო პროცედურებიც. ამ დროის მონაცემებით, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებას 8 თებერვლის პლენარულ სხდომაზე უყრიან კენჭს.

„აქცენტი“

ღარიბაშვილი – გარანტი, კობახიძე – სტაბილურობის შემნარჩუნებელი, ივანიშვილი – ისტორიის შემოქმედი და რაინდი

აქ არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი გუნდი, ეს არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი, მათ შორის სამთავრობო გუნდიც. მომავალშიც იქნება არა ირაკლი კობახიძის გუნდი, არამედ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი და ამ პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ეს პერსონიფიკაცია არის ცარიელი სპეკულაცია, შესაბამისად, ამას არანაირი საფუძველი არ აქვს. (ირაკლი კობახიძე).

სამწუხაროდ, ერთ-ერთ უმთავრეს, შეიძლება ითქვას, საფრთხედ ჯერ კიდევ რჩება ის გოროტი ძალა, რომელიც 2012 წელს დავამარცხეთ ჩვენ, ყველამ ერთად, „ნაციონალური მოძრაობა“ და მანამ, სანამ ეს კრიმინალური ორგანიზაცია რჩება პოლიტიკაში, საფრთხე არსად წასულა. ასევე, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ ახლა უკვე აპრობირებული, მაგრამ განახლებული სტრატეგიით შენიღბული, მოჩვენებითად დაშლილი ფორმით, თუმცა ყველასთვის ცხადია, რომ პარტია „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტების სახით საქმე გვაქვს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“, იგივე ხალხთან, იგივე ანტიეროვნული ინტერესების გამტარებელ გოროტ ძალასთან და ასე რომ, 2024 წლის არჩევნებში ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს. დამაჯერებლად უნდა გავიმარჯვოთ, რათა არ დავუშვათ ომი და ქაოსი (ირაკლი ღარიბაშვილი).

„ქართული ოცნების“ დამფუძნებლის და საპატიო თავმჯდომარის ბოლო საკადრო გადაწყვეტილების უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ წარმატებული და რეიტინგული პრემიერი ხდება პარტიის თავმჯდომარე. როგორც ჩვენი წყრო აცხადებს, ღარიბაშვილის პარტიის თავმჯდომარედ გადაყვანის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ყოფილი პრემიერი არის კონსერვატიული იდეოლოგიის ფიგურა, რომელიც შეძლებს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ სწორედ კონსერვატიული ამომრჩევლის მოზიდვას.

არაოფიციალური ინფორმაციით, შიდა კვლევებმა აჩვენა, ამ იდეოლოგიის მატარებელი ამომრჩევლის რაოდენობა 40%-ზე მეტია, რომლებიც არჩევნების მიმართ ნიჰილისტურად არიან განწყობილი და შესაბამისად, ხმას არ აძლევენ არც ერთ პარტიას. ამავე კატეგორიის ამომრჩევლისთვის კი ყველაზე მისაღები პოლიტიკური ლიდერი არის სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი. შესაბამისად, ახლა ღარიბაშვილზეა დამოკიდებული შეძლებს თუ არა ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩევლის 40% გახადოს „ოცნების“ ამომრჩეველი. გარდა ამისა, ღარიბაშვილმა პარტიაში 2012 წლის ძველი მირთვი უნდა დააბრუნოს, რომლებიც დღეს პროცესებს შორიდან უყურებენ.

„ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** აცხადებს, რომ რადიკალური ოპოზიციისთვის ის პოლიტიკური განლაგება, სადაც პრემიერი ირაკლი კობახიძეა, პარტიის თავმჯდომარე – ირაკლი ღარიბაშვილი, ხოლო მიძინა ივანიშვილი – დამფუძნებელი, საპატიო თავმჯდომარე და ქვეყნის უახლესი ისტორიის შემოქმედი, დამანგრეველი ქარიშხლის ტოლფასია.

„ერის ფიზიკური და სულიერი ერთობა – ეს არის საშემოდგომო დამაჯერებელი გამარჯვების საწინდარი; ირაკლი ღარიბაშვილი საარჩევნო პროცესების სათავეში – ამის დამაიმედებელი გარანტი; ირაკლი კობახიძე – ამ გამარჯვების მკვებავი სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ფონის შემნარჩუნებელი და გამაუმჯობესებელი, ხოლო, მიძინა ივანიშვილი – ქვეყნის უახლოესი ისტორიის შემოქმედი და საქართველოს ერთგული რაინდი. წარმომიდგენია, რა ხდება ახლა „გუგულის ბუდეში“...

ანალიტიკოს **გია აბაშიძის** განცხადებით, ძლიერმა და ეფექტურმა, სამჯერ არჩეულმა ხელისუფლებამ არაერთ წარმატებას მიაღწია „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, მიძინა ივანიშვილის დამსახურებით. დადებით შედეგებზე ორიენტირებულ ერთიან მმართველ გუნდში კლანები არ არსებობს, როგორც ეს ნაცოპოზიციაშია და ჰგონიათ და უაზროდ წარმოაჩენენ, რომ იგივეა „ქართულ ოცნებაში“. მისი თქმით, სწორედ ამ ერთიანი პროფესიონალების მუშაობით გვაქვს ხელშესახები წინსვლა უდიდესი გამოწვევების ფონზე. წინ არაერთი რთული მისიაა, რომელსაც აუცილებლად გაუმკლავდება მკვრივი „ქართული ოცნება“.

„ძლიერი და ეფექტური მმართველი პარტია ემზადება მეოთხე ისტორიული გამარჯვებისთვის. როცა გუნდი ძლიერი და ჰიპერაქტიურია, შინ და გარეთ გამოწვევებს პასუხობს, როტაცია და ცვლილებები ნამდვილად არაა გასაკვირი. ამგვარი რამ ჩვეულია დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში. ირაკლი ღარიბაშვილი წარმატებული იყო მთავრობის მეთაურის რანგში და მისი „ნოუ-ჰაუ“ „ქართულ ოცნებას“ აუცილებლად დასჭირდება დიდი საარჩევნო კამპანიისას. მმართველი პარტიის ხელმძღვანელობა თავად მისი სურვილი იყო და „ოცნების“ პოლიტსაბჭომ ეს გაითვალისწინა“, – აცხადებს **აბაშიძე.**

სამწუხაროდ, დღემდე არსებობს საბჭოთა სტერეოტიპები, რომ მთავრობის მეთაური უნდა იყოს ე.წ. მეურნე და ამასთან საერთო არაფერი გვაქვს. მთავარია ცოდნა-გამოცდილება, რაშიც, მისი თქმით, უმწვავესი ოპონენტებიც კი ვერ შეედავებიან ირაკლი კობახიძეს.

„რადიკალი პოლიტიკანების და ე.წ. ანალიტიკოსების კრიტიკა ისევ უმდაბლესია. კოშმარულ სიზმარში წარმოვიდგინოთ ნაცსექტის გამარჯვება არჩევნებში. მინისტრებად ვინ იქნებიან, ჩამოძონძილი ბოროტი ჯამბაზები? ღმერთმა გვაშოროს! ერთიან პროფესიონალთა მმართველ გუნდს წინ არაერთი რთული მისია აქვს, რომელსაც აუცილებლად გაუმკლავდება საზოგადოების მხარდაჭერით“, – აღნიშნა **გია აბაშიძემ.**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, მიძინა ივანიშვილი არის ის პიროვნება, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში თამაშობს გადამწყვეტ როლს. მისი თქმით, დღეს, როდესაც მიმდინარეობს უდიდესი გეოპოლიტიკური გადანაწილებები და ამ ფონზე მსოფლიოში არის გაჩაღებული არაერთი სისხლისმღვრელი ომი, მთავარი ამოცანაა გადავრჩეთ ფიზიკურად და გადავარჩინოთ ქართული სახელმწიფო.

„ამისათვის ხელისუფლების ის გუნდი, რომელიც ჩამოაყალიბა მიძინა ივანიშვილმა, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, სრულად ფლობს და წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებას. ამის დასტურია 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე განვითარებული პროცესები, როდესაც მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, გარე მტრულმა და შინა მეხუთე კოლონის ძალებმა ვერ შეძლეს მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომში საქართველოს ჩართვა!

როგორც მოვლენები ცხადყოფენ სახელმწიფოს სტრატეგია არ შეუცვლია, არის მხოლოდ ტაქტიკური გადაადგილებანი! სახელდობრ, დღევანდელი ცვლილებები ემსახურება საქართველოს სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტ სტაბილიზაციას, განვითარებას და მომავალ არჩევნებში ერთხელ და სამუდამოდ იმ ძალის პოლიტიკურად დასრულებას, რომლის სახელია „ნაცმოძრაობა“ ანუ იგივე მეხუთე კოლონა“...

თამთა ქარჩავა

ქართული აგენტურა – შიგნიდან გაჭეხილი ციხე

უკანონო ენჯოკრატია საქართველოში

მაშინ მოისპობა, როცა ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას ქართველი ხალხი დაუფინანსებს!

რატომ იყო საუკუნის აფიორა ამერიკული კანონის გარუსულება, ამის შესახებ საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე. მისი აზრით, ამის მიზეზი იყო საეჭვო დაფინანსებები, მათ შორის, თინა ხიდაშელის მაგალითიც, რომ „ფინანსდებიან ტაივანიდან, ისეთი წყაროებიდან და ისეთი მიზნებისთვის, რაც ქართულ ეროვნულ ინტერესებში არ ჯდება“.

მას შემდეგ, რაც თინა ხიდაშელის ორგანიზაციის ტაივანთან ფინანსური კავშირის შესახებ გახდა ცნობილი, მმართველ გუნდში ისევ გააქტიურდა „ენჯოების“ დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობაზე საუბარი. გამორიცხული არ არის, დღის წესრიგში ისევ დადგეს „ფარას“ კანონის მიღება, მით უმეტეს, რომ ევროკავშირში სწორედ იმგვარ და ბევრად უფრო მკაცრი კანონის მიღებას გეგმავენ, რაც საქართველოში ჩააგდეს.

იხ. 4 გვ.

უკანონო ენჯეოკრატია საქართველოში მაშინ მოისპობა, როცა ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას ქართველი ხალხი დააფინანსებს!

(მესამე გვერდიდან)

ამას ემატება ისიც, რომ ირაკლი კობახიძე ერთ-ერთია, ვინც „ფარას“ კანონის მიღებას იზიარებდა. უფრო მეტიც, კობახიძე მადლობას უხდიდა ამერიკას ე.წ. რუსული კანონისთვის, რადგან სწორედ ამერიკაში მოქმედი „რუსული კანონის“ წყალობით გახდა ცნობილი, რომ „ნაცმოძრაობა“ ფულს იხდიდა საქართველოს გაშავებაში.

რა გამოსავალს მონახავს მმართველი გუნდი პირად კეთილდღეობაზე დაფუძნებული ენჯეოების გასაკონტროლებლად?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ ენჯეოების აღვირახსნილი კამპანიის გასაკონტროლებლად კარგი გამოსავალი იყო უცხოური აგენტების შესახებ კანონის მიღება, ვინაიდან არასამთავრობოთა დაფინანსება გამჭვირვალედ უნდა ხდებოდეს, ვინ ვისგან ფინანსდება და რა პოლიტიკას ატარებს, უნდა იყოს აბსოლუტურად ღია. ამის შემდეგ ყველა ყველაფერს დაინახავს და არასამთავრობებსაც მადა დაეკარგებათ, პოლიტიკაში მონაწილეობდნენ იმ ხერხებით, რაც დაუშვებელია. არ შეიძლება, არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკაში ამ გზით მონაწილეობდეს, მით უმეტეს, როცა ამის უკან დგას უცხოური დაფინანსება. უცხოეთში ასეთ ორგანიზაციებს პირდაპირ უწოდებენ აგენტებს.

თუმცა იმის გამო, რომ აგენტების შესახებ კანონი არ მიგვაღებინეს, დავით ზარდიაშვილი გამოსავალს გვთავაზობს. მისი აზრით, ამ საკითხში საზოგადოებრივი განწყობა და ხალხის ნება უნდა იყოს მთავარი და ამისთვის შიდა რესურსი უნდა გამოინახოს.

„სხვათა შორის, თავის დროზე ამაზე მიძინაც ლაპარაკობდა, რომ, პირველ რიგში, არასამთავრობო სექტორის დაფინანსების წყარო უნდა იყოს შიდა რესურსი. თუ ქართველ ხალხს სჭირდება ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, უნდა დააფინანსოს კიდეც, გამოხატოს მატერიალური მხარდაჭერის ნება და იმ საშუალებით უნდა დაფინანსდნენ, რა საშუალებებიც ჩვენს ქვეყანას აქვს. ერთი პერიოდი, გარედან დაფინანსება შეიძლება დასაშვები იყო, რადგან საქართველოს ძალიან უჭირდა, სახელმწიფოებრიობის შენების პროცესში ვიყავით და უცხოური გრანტები და დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ეს არ შეიძლება ისე გაგრძელდეს, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა გარედან კარნახით შეიქმნას, ეს გამორიცხულია. ვითარება უნდა შეიცვალოს, შიდა რესურსი გამოინახოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შიდა რესურსით იარსებონ. ასე თუ არ მოხდა, მაშინ მათ არსებობას არც ჰქონია გამართლება. როცა შეიზღუდება გარეშე მხარდაჭერა, მაშინ 10 არასამთავრობო ორგანიზაციიდან დარჩება ერთი. შეიძლება ეს მტკივნეული პროცესი იყოს, მაგრამ სინამდვილე ასეთია. ქართველ ხალხს რაც სჭირდება, თვითონვე უნდა დააფინანსოს. რაც არ სჭირდება, იმას გარედან თავს ნუ მოგვახვევენ“, – აცხადებს **დავით ზარდიაშვილი.**

* * *

„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი **პეტრე მამრაძე** მიიჩნევს, რომ ახლანდელი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ თანდათან მეტმა ადამიანმა ქვეყნის შიგნით და გარეთ გაიგო და გაითავისა, რომ საქართველო არ არის არასამთავრობო ორგანიზაცია – „ენჯეო“, რომელსაც აღებული აქვს გრანტები და პუნქტობრივად მიჰყვება, რა არის შესასრულებელი, რომ ეს გრანტი გაამართლოს, რათა მერე ამას ისევ ახალი გრანტები მოჰყვეს.

„სწორედ ამ გრანტებისთვის არსებობენ ქართული ნჯო-ები. არაერთ ადამიანს ვიცნობ ნჯო-ებში და ვიცი, რომ გრანტები თაობიდან თაობაში გადადის. 90-იანი წლებიდან დაწყებული, უკვე 30 წელიწადია ასე ცხოვრობენ, ერთ გრანტს გაამართლებენ და, თუ უცხოეთში მოუწონებენ, მეორე გრანტზე შეაქვთ განაცხადი. საქართველო არის მცირე, შედარებით სუსტი, მაგრამ ეროვნული სახელმწიფო, თავისი სუვერენული, ეროვნული ინტერესებით, რომელიც დასაცავია. ამიტომ 12 პუნქტს გვეტყვიან, თუ 9 პუნქტს ევროკავშირიდან, ჯერ უნდა ჩავყვეთ ამ პუნქტებს და ვნახოთ, ეს ჩვენთვის კარგია თუ არა. თუ ეს პუნქტები ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამას ვერც ვენეციის კომისია ვერ უნდა შველოდეს, ვერც ვერაფერი. უნდა დავუმტკიცოთ უცხოურ მხარეს, ამა თუ იმ პუნქტს ვერ შევასრულებ, რადგან ეს ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს“, – აცხადებს **პეტრე მამრაძე** ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოსი იხსენებს, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს არასამთავრობო სექტორის დაფინანსების მახინჯ სისტემაზე პატიოსნად წერდა „ჩეთემ ჰაუსის“, ბრიტანეთის სამეფო საზოგადოების წარმომადგენელი, შესანიშნავი მეცნიერი, რეპორტიორი **ორისია ლუცევიჩი** და ამას უწოდებდა „ენჯეოკრატიას“ – „ენჯეოკრატია საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში, როგორ შევაჩეროთ ფერადი რევოლუციები“.

პეტრე მამრაძის შეფასებით, არასამთავრობოებს შორის ზოგიერთი მათგანი ძალიან კარგად მუშაობს სოციალურ თემატიკაზე, სოფლის მეურნეობის თემატიკაზე, ეკოლოგიაზე, მაგრამ არის რამდენიმე ნჯო, რომელიც ვითომდა თავისუფლების, დემოკრატიის, არჩევნების, ტოლერანტობის თემებით სპეკულირებს. სწორედ ასეთ ნჯო-ებზე საუბრობდა თავის კვლევაში ორისია ლუცევიჩი. ლუცევიჩის თქმით, ნაცვლად იმისა, ზემოხსენებულ სფეროებში ხელს უწყობდნენ დემოკრატიასა და თავისუფლებას, ხელს უწყობდნენ სამოქალაქო საზოგადოებას, პირიქით აკეთებენ და აუცილებელია, დასავლეთის დონორებმა ეს დროზე გაიგონ.

მოამზადა
მანანა ნოზაძემ

თუ ზურაბიშვილმა თავი ისე დაიმდაბლა, რომ კობახიძის დანიშვნას ხელი არ მოაწერა, ეს იქნება შურისძიების აქტი...

სოსო არჩვაძე: 2023 წელს საქართველომ ეკონომიკური განვითარების ტემპით ევროკავშირის 27-ვე ქვეყანას გაუსწრო!

შესაძლებელია თუ არა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ახალი პრემიერის ირაკლი კობახიძის დანიშვნას ხელი არ მოაწეროს?

ხომ არ გამოიყენებს ამ ვითარებას ზურაბიშვილი ირაკლი კობახიძეზე შურისძიებისთვის და იქნება თუ არა სიმბოლურ იმპიჩმენტზე სიმბოლური დემარშით პასუხი.

კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის მეთაურის დამტკიცებას ზურაბიშვილის ხელმოწერა სჭირდება – ქვეყნის მთავარ დოკუმენტში წერია, რომ ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტი ორ დღეში მაინც დამტკიცდება. ამიტომ ანალიტიკოსები იმედს გამოთქვამენ, რომ ზურაბიშვილი გადაწყვეტილებას ემოციების კარნახით არ მიიღებს და პოლიტიკურად თვითდაზიანებას არ მიიყენებს.

თბილისის მერი **პახა პალაძე** დარწმუნებულია, რომ სალომე ზურაბიშვილისგან სიურპრიზები არ იქნება.

კანონის მიხედვით, რომელიც 56-ე მუხლის მე-5-თავში წერია, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშვნიდან 2 დღის ვადაში – მინისტრებს. თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი მაინც დანიშნულად ჩაითვლება.

* * *

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** მიიჩნევს, რომ თუკი სალომე ზურაბიშვილი ირაკლი კობახიძის გაპრემიერებას ხელს არ მოაწერს, პოლიტიკურად, ეს, პირველ რიგში, მასვე დააზიანებს. ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ეს იქნება შურისძიების აქტი, რომელიც პრეზიდენტს ძალიან ცუდ კონტექსტში წარმოაჩენს.

„თუ ზურაბიშვილმა თავი ასე დაიმდაბლა, რომ კობახიძის დანიშვნას ხელი არ მოაწერა, არაფრით დაასაბუთა, ან თითიდან გამოწოვილი მიზეზი მოიყვანა, ყველა მიხვდება, რომ ეს არის უბრალო კაპრიზი და შურისძიების აქტი. მინდა მჯეროდეს, რომ პრეზიდენტი თავს ასე არ დაიმცირებს და დაიმდაბლებს, რომ ეს იკადროს. სიმართლე ვთქვა, მოლომდე მაინც არ ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ პრეზიდენტი ამას დემარშისთვის გამოიყენებს. ასევე არ მჯერა, რომ ის არჩევნებამდე გადადგება ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიას შეუერთდება. რომ შეუერთდეს, რა სტატუსით უნდა შეუერთდეს? თუ გადაწყვეტილებას მიიღებს ოპოზიციაში ოფიციალურად გადასვლის, მაშინ თანამდებობა უნდა დატოვოს და ლიდერის სტატუსით უნდა წარსდგეს. რომელიღაცა პარტიაში რიგითი წევრი ხომ ვერ იქნება ან მხოლოდ გულშემატკივარი?“, – ამბობს **ანჯაფარიძე.**

„ჩვენი ე.წ. ექსპერტები ამბობენ, რომ „ლელოს“ და გახარიას შეუერთდება. ჩვენი პრეზიდენტი საზრიანი ადამიანია, იცის ამ პარტიების გავლენა საზოგადოებაზე. მათ რომ შეუერთდეს, ის კარგავს ყველა ბერკეტს და იმ ხიბლს, რომელიც სახელისუფლებო ქარიზმის მატარებელია და ჩვეულებრივ სალომე ზურაბიშვილად გადაიქცევა, რომელიც საზოგადოებაზე გავლენას დაკარგავს. აქედან გამომდინარე, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი უფრო შეეცდება, ის ბერკეტები, რაც პრეზიდენტის სახით აქვს, საპარლამენტო არჩევნებზე გამოყენოს - მოახდინოს ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესზე თავისი განცხადებებით. მისი მხრიდან რომელიმე პარტიასთან მიერთება ძალიან უგუნური ნაბიჯი მგონია“, – ამბობს **ანჯაფარიძე.**

კითხვაზე როგორ იქნება პრემიერ ირაკლი კობახიძის და სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური თანამშრომლობა, როცა მათ შორის იმპიჩმენტის თემამ ურთიერთობა უფრო დაძაბა და არსებობს თუ არა მოლოდინი, რომ პრეზიდენტს ახალ პრემიერთან კიდევ უფრო დაძაბული ურთიერთობა ექნება? – ანჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ეს ისედაც ცხადია, რომ მათ სიამტკბილობა არ ექნებათ.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ არის რაღაცა პროცენტი იმის ალბათობისა, რომ ზურაბიშ-

პირველი ქალი-სელექციონერი საქართველოში

აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე – 125

გამოჩენილი ქართველი სელექციონერი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი ქსენია ერმილეს ასული ბახტაძე დაიბადა 1899 წლის 6 თებერვალს თბილისში, რკინიგზელის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე მემცენარეობის განხრით, რომელიც 1922 წელს წარჩინებით დაამთავრა.

ქ.ბახტაძე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი ინტერესს სტუდენტობიდანვე იჩენდა. ჯერ კიდევ 1921 წელს პროფესორ პ. ჟუკოვსკის რჩევით მუშაობა დაიწყო პრეპარატორად თბილისის ბოტანიკური ბაღის თესლის საკონტროლო სადგურში. შემდეგ გადავიდა მემინდვრეობის საცდელ სადგურში და მუშაობდა მინდვრის კულტურების მეთესლეობის ხაზით.

1927 წლიდან გარდაცვალებამდე ქ. ბახტაძე აქტიურად მოღვაწეობდა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კველევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში, ჯერ უფროს მეცნიერ-მუშაკად ჩაის დარგში, ხოლო 1941 წლიდან ჩაის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების გამგედ.

ქ. ბახტაძის პირველი გამოკვლევა, რომელიც მიეძღვნა ჩაის თესლის ზამთრისათვის შენახვას, გამოიცა 1929 წელს ბროშურად. მასში რეკომენდებული ღონისძიებები ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში და დღესაც წარმატებით გამოიყენება. მეცნიერული ცოდნის გასაღრმავებლად იგი ხანგრძლივ სამეცნიერო მივლინებაში იყო ლენინგრადის, მოსკოვის, ოდესისა და სხვა საუკეთესო ლაბორატორიებში.

აკადემიკოსმა ქ. ბახტაძემ ვრცელი გამოკვლევები ჩაატარა ჩაის მცენარის ბოტანიკის, ანატომიის, ციტოლოგიისა და გენეტიკის დარგში, სელექციური ჯიშების გამოსაყვანად. მან შეისწავლა ჩაის სამეურნეო პოპულაციები და ისინი დაჰყო ჯგუფებად მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების მიხედვით, დაადგინა კორელაციური კავშირი ჩაის მორფოლოგიურ ნიშნებს, მოსავლიანობასა და ხარისხს შორის.

აკადემიკოსმა ქ. ბახტაძემ შეაჯამა თავისი მუშაობის შედეგები და 1935 წელს წიგნად გამოსცა სახელწოდებით „ჩაის მორფოლოგიური შემადგენლობა საქართველოში“. 1936 წლისათვის მეცნიერს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ათზე მეტი ნაშრომი, რომლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი მეჩაიეობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. უმაღლესი საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით ავტორს დისერტაციის დაუცველად მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ჩაის პირველი სელექციური ჯიშები „ქართული-1“ და „ქართული-2“ ქ.ბახტაძის ხელმძღვანელობით გამოიყვანეს 1941 წელს. მან შეიმუშავა ჩაის სელექციური ჯიშების გამოყვანის მეთოდიკა. მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილ ჩაის ჯიშთა და ჰიბრიდთა საერთო რაოდენობა 20-მდე აღწევს.

სელექციური მუშაობისას მეცნიერი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა პროდუქციის ხარისხს და შესაჯვარებელ კომპონენტებს ირჩევდა ხარისხის ბიოქიმიური მაჩვენებლების მიხედვით. ამიტომ სელექციური ჯიშები უხვ მოსავალთან ერთად მაღალი ხარისხის ნედლეულს და პროდუქციას იძლეოდნენ.

1944 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1949 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1947 წელს მოსკოვში გამოიცა მისი წიგნი „ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა“. ამ ნაშრომმა მას დიდი აღიარება მოუპოვა. წიგნი პოპულარობით სარგებლობდა საზღვარგარეთის ჩაის დარგის სპეციალისტებს შორის.

1948 წელს ქ. ბახტაძეს ჩაის სელექციური ჯიშების გამოყვანისათვის, ჩაის მცენარის ბიოლოგიის, სელექციისა და მეთესლეობის საკითხების დამუშავებისათვის მიენიჭა პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია.

1961 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ქ. ბახტაძის წიგნი „ჩაის კულტურის განვითარება სსრ კავშირში“. ამის გარდა, სხვადასხვა დროს მას გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

სახელოვანი სელექციონერი დიდ დროს და ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. მის აღზრდილებს შეხვდებით როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე აზერბაიჯანში, რუსეთსა და უკრაინაში.

ქ. ბახტაძე 1950 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1955 წელს – ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1957 წელს საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. იგი ამავე დროს იყო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო საბჭოების წევრი.

ქ. ბახტაძე იყო პირველი ქალი-სელექციონერი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩაის კულტურის სელექციაში. მან პირველმა შეიმუშავა სელექციური ჯიშების გამოყვანისა და სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის მეთოდიკა. ქ. ბახტაძემ სახელმწიფო ჯიშთა გამოცდას გადასცა ახალი სელექციური ჩაის 16 ჰიბრიდი და ჯიში, მათ შორის მოსავლიანობის და ხარისხის მიხედვით 7 საუკეთესო ჯიში დარაიონებულია და წარმატებით გამოიყენება საქართველოში.

ქ. ბახტაძე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც, იყო საბჭოთა კავშირ-შრილანკის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, აქტიურად მონაწილეობდა ამ საზოგადოების მუშაობაში.

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა 1971 წელს გამოსცა ნაშრომი – „ჩაის კულტურის ბიოლოგიური საფუძვლები“, რომელშიც შეჯამებულია მისი 40 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები.

ქვეყანამ ღირსეულად დააფასა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მოღვაწეობა. იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენებით და მედლებით, აგრეთვე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლებით.

აკადემიკოს ქსენია ბახტაძის სახელი მუდამ დარჩება აგრარიკოს მეცნიერთა ხსოვნაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ვილმა კობახიძის პრემიერობას ხელი არ მოაწეროს. საყვარელიძე ამბობს, რომ ხელისუფლების სამი შტო – პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტი ერთმანეთთან ჭიდაობას იმდენად არიან შეჩვეული, რომ გამორიცხული არაფერია.

„ზურაბიშვილისგან გამორიცხული არაფერია. მისგან მევრჯერ მოგვისმიენია ისეთი ფრაზები, რომელიც ემოციას აყოლილი ადამიანის სიტყვები უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკურად ნაკარნახევი. ახლაც, თუკი ემოციებს აყვება, მაშინ კობახიძის გაპრემიერებას ხელს არ მოაწერს. ხოლო, თუ პოლიტიკურ გათვლებს გააკეთებს, წესით, პირველ რიგში, თავად დაზიანდება. ეს გამოიწვევს არა მხოლოდ ხელისუფლების შტოებში გაღიზიანებას, არამედ მთელი საზოგადოებისას. ახლა არ არის პრეზიდენტის ფაქტორის შეთავაზების დრო. ახლა საზოგადოება გადართულია ორი ირაკლის როქის შინაარსზე. პრეზიდენტის ამ ფონზე ამოტივტივება და პროცესების თუნდაც რამდენიმე დღით დატორმუზება, მე მგონი გაღიზიანებას უფრო გამოიწვევს“, – ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე თქმით, სამწუხაროდ, ზურაბიშვილის და კობახიძის ხასიათიდან გამომდინარე, მათი ურთიერთობა უფრო ხისტი იქნება. სამწუხაროდ, არც ერთი არ ტოვებს იმ ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელიც ელასტიკური მოქმედებით მიაღწევს მიზანს და არა ნაჯახისებური მოქმედებით. პრეზიდენტიც და კობახიძეც ხისტია, ამიტომ ის ელის, რომ პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო რთული იქნება.

ლიკა ბერიკაშვილი

„აჩრდილებისგან“ თავისუფალი?

რას გვპირდება ახალი ეტაპი სომხეთ-საქართველოს ურთიერთობებში

მრავალწლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შემდეგ საქართველომ და სომხეთმა სტრატეგიული ურთიერთობების შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. როგორც მოსალოდნელი იყო, საუბარია ძირითადად ეკონომიკურ პარტნიორობაზე.

სომეხი ექსპერტების ნაწილი ფიქრობს, რომ ეს დიდწილად განაპირობა სომხეთის მცდელობებმა, დისტანცირდეს რუსეთისგან და დაუახლოვდეს ევროკავშირს, ხოლო საქართველომ წინ წაიწია ევროინტეგრაციის გზაზე – მიიღო წევრობის კანდიდატის სტატუსი.

ამგვარ ხედვას იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე**, რომელიც შეთანხმებას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ხაზს უსვამს, რომ შემთხვევაში რამდენიმე მომენტმა ითამაშა როლი:

- **ყარაბაღის კონფლიქტი ალბათ, გადაიჭრა და ეს სომხეთს (ჩვენც) აძლევს საშუალებას, ფოკუსირდეს რეგიონულ პროექტებზე, რეგიონულ თანამშრომლობაზე;**
- **სომხეთი ატარებს რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებულ პოლიტიკას;**
- **უკრაინაში ომის ფონზე გამოიკვეთა მთელი რიგი საფრთხეების არსებობა და საქართველო ცდილობს, გაზარდოს თავისი მნიშვნელობა როგორც „რეგიონულმა ჰაბმა“.**

„ამით ჩვენი ეკონომიკური მნიშვნელობაც იზრდება და უსაფრთხოებაც. გარანტიებს არ ვიღებთ, მაგრამ ჩვენი უსაფრთხოებაც იზრდება, როდესაც მეტი ეკონომიკური ნონა გვაქვს“.

მიუხედავად განსხვავებული საგარეო ორიენტირებისა, მხარეები წლების განმავლობაში



უსვამდნენ ხაზს ახლო მეგობრულ კავშირებს, თუმცა ქართულ-სომხურ ორმხრივ ურთიერთობებში, როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, მუდმივად იგრძნობოდა სხვა მოთამაშეების არსებობა – ძირითადად, აზერბაიჯანის და რუსეთის. ამ გარემოებას არ უარყოფს შარაშენიძეც და ამბობს, რომ ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტამ გახსნა შანსი, რეგიონული თანამშრომლობა გაფართოვდეს.

„აქამდე სომხეთი ყარაბაღით იყო „დაბმული“. ჩვენც რაღაც დონეზე ანგარიშს ვუწევდით აზერბაიჯანის პოზიციას. მაგალითად, ყოველთვის ძალიან მძიმე თემა იყო რკინიგზის გახსნა, რომელიც აფხაზეთის გავლით მიდის სომხეთში. გასაგებია, რომ არსებობს იურიდიული პრობლემა, რა იურიდიული სტატუსით იხსნება, სად არის საბაჟო – ფსოუზე თუ ენგურზე? მაგრამ საბაჟო ფსოუზე რომ გახსნილიყო, პრობლემა იქნებოდა ის, რომ რუსეთი სომხეთს დაუკავშირდებოდა რკინიგზით და იარაღით უფრო მარტივად მოამარაგებდა, რაც ცხადია, აზერბაიჯანს არ მოეწონებოდა. მათ შორის, ამის გამოც იყო ეს საკითხი ყოველთვის ძალიან რთული“, – იხსენებს **შარაშენიძე.**

მისი ხედვით, ახლა „აჩრდილებისგან“ თავისუფალი, შესაბამისად, უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის ეტაპი დადგა ორ მეზობელს შორის ურთიერთობებში. მაგრამ განსხვავებით სომეხი ექსპერტების ნაწილისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გარდა ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისა, დეკლარაცია შემდგომში სხვა შეთანხმებების მიღწევის შესაძლებლობას გააჩენს, მათ შორის სამხედრო-ტექნიკური და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისთვის, შარაშენიძე სკეპტიკურად უყურებს, არ მიიჩნევს რა საქართველოსთვის პრიორიტეტულად ორმხრივ ურთიერთობებში.

დასკვნის სახით ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ საქართველო აკეთებს აქცენტს მშვიდობიან განვითარებაზე. თუ მიიღწევა სტაბილური მშვიდობა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობაც გაჩნდება, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ მიზნებს:

„ჩვენი კაპიტალი გეოგრაფიაა. რეგიონში თუ არ იქნება მშვიდობა, არ იქნება თანამშრომლობაც და ცხადია, ჩვენი გეოგრაფიის პოტენციალს ვერ გამოვიყენებთ. ხოლო ეს თუ ვერ გამოვიყენეთ, აბსოლუტური კატასტროფა გველის: რესურსებით ღარიბი ქვეყანა ვართ, თითქმის არაფერს ვაწარმოებთ, გვაქვს გეოგრაფია და ტრანზიტი!“.

ორიოდე ტკბილი სიტყვა თანამედროვე ტელე და ინტერნეტრეკლამების შესახებ

სხვისი იდეებისა და მოსაგრებების მითვისება (პლაგიატობა) რომ არ დამბრალდეს, აქვე ვაღიარებ, რომ რუბრიკად გამოტანილი სიტყვები ნასესხებია რადიო „იმედში“ ყოველკვირეული გადაცემის რეკლამიდან - „როგორც პიარის მამა, ედუარდ ბერნაესი ამბობდა, ხალხი არის ბრბო და მისი მართვა შეიძლება ინსტინქტით. მოდით, ნუ ვიქნებით ბრბო და გავხდეთ საზოგადოება...“

ბრბო მართლაც იმართება ინსტინქტებით, მაგრამ ხალხის ინსტინქტებით მართვა შეუძლებელია!..

დავას ნამდვილად არ ვაპირებ – ზიგმუნდ ფროიდის დისშვილი და მისი ფილოსოფიის ზედმიწევნით მცოდნე, ამერიკელების მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მამამთავრად აღიარებული ებრაული წარმოშობის გაამერიკელებული ავსტრიელი ედუარდ ბერნაესი (ინგ. EDWARD LOUIS BERNAYS, 1891-1995 წ.წ.), ალბათ მართლაც ასე ამბობდა.

თუმცა, ნება მიბოძეთ, მისი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი შევიტანო: ხალხი არ არის ბრბო. ხალხი არის საზოგადოების ნაწილი, ვინც დამოუკიდებლად აზროვნებს, შრომობს, მატერიალურ და ინტელექტუალურ ღირებულებებს ქმნის. ბრბო არის საზოგადოების ის ნაწილი, ვინც დაუფიქრებლად ჰყვება სხვის ავანტიურისტულ მოწოდებებს, ქვებს და „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისვრის, მთავრობის სასახლეში შეჭრას და სახელმწიფო გადატრიალებას ცდილობს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ბილწად იგინება, იქაურობას შხამავს და მაგიდებზე დარბის.

„ხალხის“ დაუოკებელ „ბრბოდ“ გადაქცევის ფაქტები ისტორიაში საკმაოდ ხშირია. ბრბო მართლაც იმართება ინსტინქტებით, მაგრამ ხალხის ინსტინქტებით მართვა შეუძლებელია. ამიტომ გამოთქმა, „მოდით, ნუ ვიქნებით ბრბო და გავხდეთ საზოგადოება“, არის გულუბრყვილო ალოგიკურობა, რაც რადიო „იმედში“ ლალი მოროშკინასნაირი ნიჭიერი, გამოცდილი ჟურნალისტისა და პოლიტოლოგის გადაცემას არ შეეფერება.

„PR-ის მამად“ აღიარებული ედუარდ ბერნაესი არის ის პერსონა, ვინც საფუძველი დაუდო რეკლამის მეშვეობით ადამიანის ცნობიერზე ზემოქმედებას. ხაზს ვუსვამ – საუბარია არა ხალხის განათლებაზე, ხალხზე ბრუნვაზე, არამედ ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედებით, ხალხის გამითურებით დიდი ფულის მოხვეჭაზე.

ამის კლასიკური მაგალითია ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში ედუარდ ბერნაესის მანამდე არნახული PR კამპანიის წყალობით (კოდური სახელწოდებით, „თავისუფლების ჩირაღდნები“) ხალხის ცნობიერებაზე ზემოქმედება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქალებისთვის სიგარეტის საჯაროდ მოხმარების ლეგალიზება; ზოგადად, თამბაქოს მოხმარების პროპაგანდა. შესაბამისად, ამ მიზნესით დაინტერესებული კომპანიების შემოსავლების ფანტასტიური აღმავლობა მომხმარებელთა ჯანმრთელობის ხარჯზე.

მოდი, ჯერ ქართულ ტელესივრცეში ასე **„გაPRებულ“** ნაკლებად მტკივნეულ განცხადებებზე შევჩერდეთ:

„მუსიკაში შემიძლია ვთქვა, ჩემს სამშობლოზე, რომ ეს არის ხასანბეგურას, ხორუმის და ყანჩელის ერი! შენ ხარ ვენახისაც, ლაღიძის, ცინცაძის, ნასიძის და ფალიაშვილის...“

ეს სიტყვები მართლაც ნიჭიერ მუსიკოსს, ნიკოლოზ რაჭველს (მემარნიშვილი) ეკუთვნის. გაუგებარია, რას ნიშნავს გამოთქმა, „მუსიკაში შემიძლია ვთქვა“. კიდევ უფრო გაუგებარია (მერიდება ვთქვა, მაღალფარდოვანი უვიცობაა-მეთქი) „ეს არის ხასანბეგურას, ხორუმის და ყანჩელის ერი!“ ანუ, ბატონი ნიკას აზრით, სამშობლო არის ერი. საერთოდ, თუ სწორად მივხვდი, მას ამის თქმა სურდა: „საქართველო „ხასანბეგურას“, „შენ ხარ ვენახის“, „ხორუმის“, ყანჩელის, ლაღიძის, ცინცაძის, ნასიძის და ფალიაშვილის მშობელი ქვეყანაა...“

იმედია, დამეთანხმებით, რასაც ახლა წაიკითხავთ, მისი სერიოზული კომენტარი შეუძლებელია. არადა, ინტერნეტ და ტელესივრცე გადავსებულია ამგვარი განცხადებებით:

„ქირურგიული კლინიკა აწარმოებს ოპერაციებს“.

„ეს წამალი მთელ მსოფლიოში ატყდა“.

„ამ ეფექტურ ინფრაწითელ ელექტრო მუხარს აქვს გათბობის 2 რეჟიმი, რომლითაც შეგიძლიათ აირჩიოთ“.

„რა ღირს მიტოვებული სახლი 2024 წელს? ფასები შეგაოცებთ“.

„მოზარდმაყურებელთა თეატრი გთავაზობთ სპექტაკლს „პეპი გრძელი წინდა“ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების მიხედვით.“

„თქვენი კერძო სახლი მდებარეობს თავისუფლების მოედნიდან 7 წუთში“.

„ხელშეკრულებების გაწყვეტა არ იმოქმედებს ვადების შესახებ“.

„მომხმარებელთა მომსახურების ასისტენტი ჩვენი მისიაა ვიყოთ ყველაზე მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანია დედამიწაზე. ჩვენი კლიენტებისთვის საუკეთესო სერვისის მიწოდება არის ის, რაც გვიბიძგებს, ასე რომ, საბოლოო ჯამში, თქვენ შეამჩნევთ განსხვავებას, თუ როგორ მივუდგებით საკითხებს. ამის ნაცვლად, ჩვენ გაწვდით ტრენინგს, რომელიც გჭირდებათ თქვენი პრობლემის გადასაჭრელად...“

„გარანტიას გაძლევთ, რომ ყველა მამაკაცი, რომელსაც აქვს ერექციული დისფუნქცია და პროსტატიტის შეშუპება, მხოლოდ ერთ თვეში შეძლებს მამაკაცის ჯანმრთელობის აღდგენას.“

„გაწუხებთ ერექციისა და პროსტატიტის დაკარგვა? გამოიყენეთ ეს ხელნაკეთი რეცეპტი და ერექცია აღდგება და ანთება პროსტატიტისგან ნებისმიერ ასაკში გაქრება. შეარჩიეთ სიმპტომი, რომელიც გაწუხებთ და მიიღეთ რეცეპტი“.

„მხოლოდ ერთი ბარი დღეში და თქვენი ნახამალი იქნება კალათბურთის საყურადღებლო.“

„მიიღეთ ერექცია უკან 40 დღის განმავლობაში და მოშორება პრობლემები საწოლში სამუდამოდ...“

„კალმახის ორაგულის ხიზილალა. 100% ნატურალური...“

ჩვენ, ათასი ჭირ-ვარამის გამომვლელი მსოფლიოს უძველესი კულტურის დღემდე მომტანი თავმოყვარე ქართველი ხალხი კი მშვიდად შევცქერით, როგორ გვეცლება მიწა ფეხქვეშ. დიახ, „ჩვენ“ – ინტელიგენციაც, ხელისუფლებაც, სკოლებიც, უნივერსიტეტებიც, მედიასაშუალებებიც (თივის გვინში თაგვის გაფაჩუნება რომ არ გამოეპარებათ!), ყველა წვრილმანგზე მოყვანე არასამთავრობოებიც, უცნობი ამერიკული რუსული კანონის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი ქვასროლია პატრიოტებიც...



ცხადებებიდან (ეს არ ეხება მოროშკინას რადიოგადაცემას), უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია თავხედურად აგდებული დამოკიდებულება მშობლიური ენისა და ამ ენაზე მოლაპარაკე თანამემამულეებისადმი. რაც მთავარია, ეს არ გახლავთ, უბრალოდ, ქართული ენის არცოდნა. მეტიც, ამ შემთხვევაში, ენაზე, სამშობლოზე, პასუხისმგებლობასა თუ სინდისიერებაზე საუბარი მეტისმეტად გადაჭარბებულია.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ რეკლამების ტექსტები არის უცხო ენებიდან, ძირითადად, რუსულიდან კომპიუტერული (ავტომატური), ადამიანის გონის ჩაურევლად შესრულებული თარგმანები. თავად განსაჯეთ – უცხო ქვეყნის რომელიღაც ფირმა ფულს იხდის ქართულ ინტერნეტსივრცეში თავისი რეკლამის განთავსებაში. ამავე დროს, ფეხებზე ჰკიდია თარგმანის ხარისხი, ამ ქვეყნის მოსახლეობა, საერთოდ, ეს ქვეყანა თავის ხალხიან-კულტურიან-მთაგორებიანად.

ჩვენ, ათასი ჭირ-ვარამის გამომვლელი მსოფლიოს უძველესი კულტურის დღემდე მომტანი თავმოყვარე ქართველი ხალხი კი მშვიდად შევცქერით, როგორ გვეცლება მიწა ფეხქვეშ. დიახ, „ჩვენ“ – ინტელიგენციაც, ხელისუფლებაც, სკოლებიც, უნივერსიტეტებიც, მედიასაშუალებებიც (თივის ზვინში თაგვის გაფაჩუნება რომ არ გამოეპარებათ!), ყველა წვრილმანზე მოყაყანე არასამთავრობოებიც, უცნობი ამერიკული რუსული კანონის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი ქვასროლია პატრიოტებიც...

მოდი, კიდევ ერთი მრავლისმთქმელი სარეკლამო განცხადება ვნახოთ.



ინტერნეტ სივრცეში, განსაკუთრებით, „ფეისბუქ“გვერდებზე ასე პათოლოგიურად მომრავლებული სამკურნალო საშუალებებისა და ფულის უზრუნველად შოვნის რეკლამები არის სრული სიყალბე; უკიდურესად საშიშია ჩვენი ჯანმრთელობისა და ქონებრივი მდგომარეობისათვის. აღარაფერს ვამბობ, ქართული ენის მასობრივად წაბილწვის მცდელობაზე.

„Grace moth 35 დაფინანსებული ჯერ კიდევ არ იცით ამ პროდუქტის შესახებ? ათასობით ადამიანმა უკვე გამოსცადა და არ უნანია. ეს არა მხოლოდ მთელი ღამე გაგრძელდება, არამედ პოტენციაზედ არასოდეს შეგექმნებათ პრობლემები. მიიღეთ ეს უფასო პრუდუქტები სწრაფად ერთი აბი საკმარისია და მთელი ღამე სიყვარულს ვატარებთ. აფთიაქები მალავენ მას.“

ენობრივი თვალსაზრისით აქ ახალი და საინტერესო არაფერია. ესეც ერექციის ასამაღლებელი რაღაც აბების რეკლამაა. ყურადღება მიაქციეთ რეკლამის ბოლო წინადადებას – „აფთიაქები მალავენ მას (აბებს)“.

ვიდრე ამ წერილს დავწერდი, პირადად ვესტუმრე თბილისის რამდენიმე აფთიაქს – რეკლამირებული წამლები არსად არ იყიდება. მეტიც, აფთიაქების თანამშრომლებმა მათი არსებობის შესახებ არაფერი იციან. უფრო „ზემოთ“ დელიკატურად ამიხსნეს, რომ აფთიაქებში შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი (სერტიფიცირებული) სამკურნალო საშუალებები.

მოკლედ, ქართულ ინტერნეტსივრცეში ასე ბეჯითად რეკლამირებული და თავისუფლად მოჯირითე სამედიცინო საქონელი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, არის ყალბი. მისი მოხმარება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ეს რეკლამა კი ქართველი ხალხის უშრომლად, თითის გაუნძრევლად გამდიდრების განზრახვით ნაკარნახევი უნდა იყოს. მის კეთილშობილებაში კიდევ უფრო დარწმუნდებით, როცა გაიგებთ, რომ რეკლამა მეგობარი რუსეთიდან შემოსული და რუსული ენიდან ნათარგმნია:

„გაინტერესებთ დამატებითი შემოსავლის მიღების მარტივი და ლეგიტიმური გზა მხოლოდ თქვენი მობილური ტელეფონის გამოყენებით? სულ რაღაც 6 საათში შეგიძლიათ მიიღოთ 3000 ევრომდე. 250 ევროს ჩავდებ და 2500 ევროს ვიღებ მოგებაში. გაინტერესებს? დამატებითი ინფორმაციისთვის მომწერეთ WhatsApp-ზე“.

მეტი დამაჯერებლობისათვის, ეს რეკლამა ჩვენს ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა ვარიაციით უამრავჯერ მეორდება; მდიდრულადაა გაფორმებული ფირმა „სოკარის“ სიმბოლიკით, ლარისა და დოლარის კუპიურებით. რა თქმა უნდა, მითითებულია ტელეფონის ნომერიც. ერთადეთი, რამაც შესაძლოა, გული დაგწყვიტოთ, რეკლამებს არ ახლავს ქართველ და მსოფლიო პენსიონერებზე მზრუნველი ბატონი დავით კეზერაშვილის მომღიმარი ფოტო.

გადავწყვიტე, ექსპერიმენტი ჩამეტარებინა. რეკლამაზე მითითებულ ადგილას „დავაწკაპე.“ მაშინვე ვინმე ნიკალაი დამიკავშირდა, ძალიან ზრდილობიანად მადლობა გადამიხადა ყურადღებისთვის, დაწვრილებით გამოიკითხა ჩემი ვინაობა, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი და დაუზარლად ამიხსნა (რუსულ ენაზე, რასაკვირველია), რა სიკეთეები მელოდა მის ფირმასთან თანამშრომლობით. ბევრი არაფერი - უნდა მიმეწოდებინა ჩემი ტელეფონისა და საბანკო ანგარიშის ნომრები, უნდა გადამერიცხა სულ რაღაც 350 დოლარი და... გულიაი ვასია – იმ წუთიდან უსასრულობამდე ყოველდღიურად მივიღებდი 700-დან 5000-მდე დოლარს!

ჩემი მხრიდან მოკრძალებით შევთავაზე, ვინაიდან უქონელი პენსიონერი ვიყავი, ჯერ თვითონ გადმოერიცხათ 5000 დოლარი და მერე მე გადავურიცხავდი 350-ს. მოკლედ, ვერ შევთანხმდით. თუმცა ჩვენი ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა – ქართველ პენსიონერებზე მზრუნველი ფირმა და პირადად პატივცემული ნიკალაი ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე მირეკავდა და „თანამშრომლობაში“ ჩათრევას ცდილობდა. მათ შორის, კლასიკური რუსული ცინიზმისა და ბილწსიტყვაობის გამოყენებით.

ფირმის ყურადღებიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენი იმ გულთბილი საუბრიდან ორი კვირის შემდეგ ისევ დამიკავშირდნენ (ამჯერად, სიმპათიური რუსი ქალბატონი) და თანამშრომლობაზე ჩემი დაყოლიება ისევ სცადეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ინტერნეტსივრცეში განსაკუთრებით, „ფეისბუქ“გვერდებზე ასე პათოლოგიურად მომრავლებული სამკურნალო საშუალებებისა და ფულის უზრუნველად შოვნის რეკლამები არის სრული სიყალბე; უკიდურესად საშიშია ჩვენი ჯანმრთელობისა და ქონებრივი მდგომარეობისათვის. აღარაფერს ვამბობ, ქართული ენის მასობრივად წაბილწვის მცდელობაზე.

მეც დავინტერესდი და, ბუნებრივია, თქვენც გაინტერესებთ, არსებობს თუ არა რაიმე ადმინისტრაციული, საკანონმდებლო ბაზა ამის თავიდან ასაცილებლად. გულწრფელად რომ ვაღიარო, ინტერნეტსივრცეზე, განსაკუთრებით, „ფეისბუქზე“, თუნდაც უკეთილშობილესი მიზნით რაიმე სახის კონტროლის დამყარება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია – ძალიან დიდია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე. შეგიძლიათ მენდოთ, ყურადღებით გავეცანი „საქართველოს კანონს რეკლამის შესახებ“ – პრობლემის მოსაგვარებლად მისი გამოყენება, უბრალოდ, შეუძლებელია.

კიდევ უფრო სავალალო ის გახლავთ, რომ არ არსებობს რაიმე ეფექტური საშუალება ეგრეთ წოდებულ „დაფინანსებულ რეკლამებზე“ შინაარსობრივი და ენობრივი კონტროლის დასამყარებლად. შედეგებსაც ვიმკით!

მოკლედ, ვითარება იმაზე ბევრად რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

მოდი, ერთად ვიფიქროთ. ისე, როგორც შეეფერება მოაზროვნე საზოგადოებას, თორემ ბერნაესი ხომ გახსოვთ – ხალხის ბრბოდ გადაქცევამდე ნახევარი ნაბიჯია.



თეიმურაზ ქორიძე

აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივების გალა-კონცერტი რუსთაველის თეატრში

რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, აფხაზეთის შემოქმედებითი კოლექტივების საანგარიშო ღონისძიება „აფხაზეთისთვის“ გაიმართა. გალა-კონცერტში აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი“, აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“, გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, გიორგი რატიანის სახელობის სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის უფროსი თაობა, გოგონათა ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი „გუმბათი“ და ანსამბლ „შავნაბადას“ ბავშვთა გუნდი მონაწილეობდნენ.

თეატრის ფოიეში მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების ნამუშევართა და აფხაზეთის ბეჭდური გამოცემების, ჟურნალების „რიწა“ და „იალქანი“ გამოფენა.

ლიტერატურული თეატრი 25 წლისაა!

ლიტერატურული თეატრის დაარსებიდან 25 წელი გავიდა. საიუბილეო საღამო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა. თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს და დამსწრე საზოგადოებას გაახსენეს თეატრის ისტორია, დასამახსოვრებელი სპექტაკლები, რეჟისორები და მსახიობები. საღამოს რეჟისორი იყო გიორგი სიხარულიძე.

ლიტერატურული თეატრი 1999 წელს შეიქმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში. მისი დამფუძნებლები არიან: კოტე მჟავია (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), ლადო მექვაბიშვილი, თემურ ნაცვლიშვილი, ნაირა გელაძე და ლია ქინქლაძე (თეატრის დირექტორი). თეატრის პირველი სპექტაკლი იყო რევაზ ინანიშვილის „ცეტები“. 2004 წელს თეატრმა ბინა დაიდო გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

თეატრის რეპერტუარში ამჟამად 32 სპექტაკლია: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „სისხლი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „სულხან-საბა“, „ცეტები“, „ჭინჭრაქა“, „იავნანამ რა ჰქმნა?!“ და ა. შ.

თეატრი ერთი სეზონის განმავლობაში მართავს 350-400 წარმოდგენას, რის შედეგადაც დაახლოებით 40 000 ბავშვი ეზიარება ქართულ ლიტერატურასა და თეატრალურ ხელოვნებას.

სტუმრად რუსთავის სამუსიკო სასწავლებელში

საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თეა წულუკიანი „სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელს“ ესტუმრა და ცნობილ ქართველ მუსიკოსსა და პიანისტ გიორგი ვაჩნაძესა და მის მეუღლე, პიანისტ კიომი სუგიმურასთან ერთად გაეცნო სასწავლებლის მუშაობის სპეციფიკასა და ინფრასტრუქტურას.

მინისტრმა დაათვალიერა სასწავლებლის საკონცერტო დარბაზი, აუდიტორიები და შეხვდა სასწავლებლის დირექტორს ნინო ნაჭყებიას, რომლისგანაც მოისმინა ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ.

ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელში გასული საუკუნის 70-იან წლებში მოღვაწეობდნენ ქართული სიმღერის დიდი მოამაგე და მკვლევარი, ანსამბლ „რუსთავის“ დამაარსებელი ანზორ ერქომაიშვილი და საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა.

სასწავლებელი ახორციელებს 11-წლიანი სწავლების (დაწყებითი – I-IV კლასი, საბაზო – VII-IX კლასი, სპეციალური – X-XI კლასი) უწყვეტ ციკლს საფორტეპიანო, საორკესტრო სიმებიანი საკრავების (ვიოლინო, ჩელო), ჩასაბერი საკრავების (ფლეიტა, კლარნეტი, საყვირი, საქსოფონი), დასარტყამი ინსტრუმენტების, ვოკალურ და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებებზე.

2021 წელს, ამავე კონკურსის ფარგლებში, კულტურის სამინისტრომ რუსთავის სამუსიკო სასწავლებელს 30 300 ლარის ღირებულების ინსტრუმენტები შეუძინა.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ალექსანდრე გაჩეჩილაძის, თამილა მაჭავარიანის და შოთა გაჩეჩილაძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები: ალექსანდრე გაჩეჩილაძე (პ/ნ 18001071207), თამილა მაჭავარიანი (პ/ნ 18001052261), შოთა გაჩეჩილაძე (პ/ნ 18001070805), ზესტაფონი, ს. დილიკაური, 27-ე ქუჩა №5

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ზესტაფონი, ვახუშტი ბატონიშვილის II შესახვევი №15 (საკადასტრო კოდი: 32.10.31.357 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2000 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 5 თებერვალი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 20 თებერვალი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95876224; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 958762

6. **მოვალე:** არტურ ხურციძე (პ/ნ 17001003244), ვანი, ს. გორა.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95876224; ლოტის ნომერი: 958762).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 თებერვლის 12:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რამილ გურბანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69 (საკადასტრო კოდი: 83.01.14.169).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23520.91 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 5 თებერვალი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 20 თებერვალი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95876824; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 958768

6. **მოვალე:** რამილ გურბანოვი (პ/ნ 28001000066), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, მოდი ნახეს ქ. №69;

ფინარა ალიევა (პ/ნ 28001017196), მარნეული, ს. ყიზილაჯლო, ჰიდრის ზეინალოვის ქ. №87

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95876824; ლოტის ნომერი: 958768).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 თებერვლის 12:00 საათამდე.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების აღორძინების გეგმა

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის მენეჯმენტის გეგმის პროექტის გაცნობითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მენეჯმენტის გეგმის მიზანია მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლებისთვის გრძელვადიანი მიზნებისა და მათ მისაღწევად აუცილებელი მართვის შესაბამისი მიდგომებისა და ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც დაცული ტერიტორიების სააგენტომ მენეჯმენტის გეგმის მოქმედების ვადაში უნდა განახორციელოს.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის მენეჯმენტის გეგმის პროექტი საქართველოსა და შვედეთის მთავრობებს შორის გაფორმებული საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის მთავრობის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (შიდა) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო“ ფარგლებში შემუშავდება.

სამუშაო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (შიდა) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება – საქართველო“, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის, მარტვილისა და ხონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე გამოითქვა რეკომენდაციები და შენიშვნები, რომელთა გარკვეული ნაწილი გათვალისწინებული იქნება დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში. მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის მენეჯმენტის გეგმის დოკუმენტი მომზადდება არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოტონის“ ეროვნული კონსულტანტების გუნდის მიერ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი მოსახლეობის და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ხანახმად კოჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ხანახმად კოჯაევი (პ/ნ 36001047564), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 ქ. №59

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, სოფელი ლამბალო (საკადასტრო კოდი: 55.21.51.000.280).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41877.27 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 5 თებერვალი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 20 თებერვალი, 14:30 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP95876624; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 958766

6. **მოვალე:** ხანახმად კოჯაევი (პ/ნ 36001047564), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-13 ქ. №59

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP95876624; ლოტის ნომერი: 958766).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 20 თებერვლის 12:00 საათამდე.

როგორ სჯის რუსეთი აფხაზებს, რომლებიც ბოლო ძალით ცდილობენ ანექსიისგან სამშობლოს დაცვას

მთელი გასული კვირა აფხაზეთის მცხოვრებლებმა მთავარ პროგლემებთან (უშუქოებასა და უწყლოებასთან) ერთად, რუსეთთან საზღვრის კვეთის ახალ წესებზე მსჯელობაში გაატარეს.

სოცქსელებში ერთი მეორეს მიყოლებით ჩნდებოდა პუბლიკაციები თხოვნით, ოფიციალურად განიმარტოს, **რა გედი ელით ადგილობრივებს იმასთან დაკავშირებით, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან ორმაგი (აფხაზური და რუსული) მოქალაქეობის მქონე პირებს საზღვრის კვეთა მხოლოდ რუსული პასპორტით შეეძლებათ, აფხაზურით – აღარ.**

„პატივცემულო შესაბამისო ორგანოებო! მოგმართავთ თხოვნით, გაგვაცნოთ კონკრეტული და ზუსტი ინფორმაცია საზღვრის კვეთის ახალი წესების შესახებ“, – ნათქვამი იყო აფხაზეთის მოქალაქეთა მიმართვებში. მაგრამ ოფიციალური სტრუქტურები დუმილს ინარჩუნებდნენ.

მაშინ მოსახლეობამ თავად დაიწყო ამ საკითხზე ინფორმაციის ძებნა და დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციაში შესვლისა და გასვლის წესები ჯერ კიდევ 2023 წლის აპრილის ბოლოს შეცვლილა. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაცია საზღვრის კვეთის ახალ წესებს განმარტავს, მათ შორის - აფხაზეთის მოქალაქეებისთვისაც.

„რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ 2023 წლის 28 აპრილის №138-ФЗ ფედერალური კანონის მე-10 მუხლის თანახმად, „რუსეთის მოქალაქეს, რომელსაც ორმაგი ან რამდენიმე მოქალაქეობა გააჩნია, რუსეთის ფედერაცია განიხილავს მხოლოდ როგორც რუსეთის მოქალაქეს, მისი საცხოვრებელი ადგილის განურჩევლად“.

არსი მოკლედ რომ გადმოვცეთ, რუსეთის ფედერაციამ სამ სახელმწიფოსთან (ტაჯიკეთი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ორმაგი მოქალაქეობის საკითხებს არეგულირებს, მაგრამ საზღვრის კვეთისთვის აფხაზეთის პასპორტის გამოყენების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

„ამგვარად, ორმაგი ან რამდენიმე მოქალაქეობის მქონე რუსეთის მოქალაქის ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა და გასვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც მისი, როგორც რუსეთის მოქალაქის პირადობას მოწმობს“, – ნათქვამია რუსული უწყების საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წესი საზღვარზე ჯერ კიდევ გასული წლის აპრილიდან უნდა ამოქმედებულიყო, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე ის ბოლო დრომდე არავის გახსენებია და აფხაზეთის მოქალაქეებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობაც გააჩნდათ, კვლავინდებურად შეეძლოთ, საზღვარი აფხაზეთის შიდა ან საზღვარგარეთის პასპორტით ეკვეთათ.

ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთის წესები მოულოდნელად გამკაცრდა, ადგლობრივებმა უმალვე დაუკავშირეს ურთიერთობების გაუარესებას სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც ბოლო თვეებში სულ უფრო ხშირად უჩვენებს დაუმორჩილებელ აფხაზებს „მათრახისა და თაფლაკვერის“ დასჯის მეთოდს. და თუ ადრე მოსკოვი აფხაზურ საზოგადოებაზე ზემოქმედების მეთოდებს კულუარულად იყენებდა, ახლა ამას დაუფარავად აკეთებს.

„მიამიტსაც კი ესმის, რომ რუსებს ჩვენთვის საზღვრის კვეთა ტყუილად არ გაუმკაცრებიათ. თავადაც იცით, რამდენ ჩვენს თანამემამულეს აკავებენ ბოლო დროს ეფესბეშნიკები საზღვარზე. საათობით აჩერებენ, ჩვენი შიდა საქმეების შესახებ უსვამენ კითხვებს. როგორც ჩანს, საკანონმდებლო ცვლილებები იმისთვის დასჭირდათ, რომ ეს დაკავებები და განუკითხაობა აფხაზეთის მოქალაქეებზე ზეწოლად არ გამოიყურებოდეს“, – თვლის ჩვენი თანამოსაუბრე რაუფი.

„ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ, როგორც აფხაზეთის მოქალაქემ, ისე ჩაამარა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენი რესპუბლიკისთვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში. ახლა რა უნდა ქნან? მათ რუსეთის მოქალაქეობაც გააჩნიათ, მაგრამ ლიმიტი უფასოდ სწავლის შესაძლებლობას აძლევდათ. საზღვრის კვეთის ახალი წესების შემოღების შემდეგ მათ სირთულეები გაუჩნდებათ და შესაძლოა, რუსეთში სწავლაზე უარის თქმაც მოუწიოთ, რაც დიდი პრობლემა იქნება ჩვენი ახალგაზრდობისთვის“, – ამბობს ჩვენი რესპონდენტი ადა.

„პირველი, რაც აზრად მომივიდა, როცა ახალი სასაზღვრო წესის შესახებ სიახლე შევიტყვე, ისაა, რომ სურთ, აფხაზეთის მოქალაქეები ჯარში გაიწვიონ შემდეგ უკრაინასთან ომში გასაგზავნად. ამას ხმამაღლა არ ამბობენ, თუმცა ბევრისთვის ცნობილია, რომ რუსეთში ფარული მობილიზაცია მიმდინარეობს და რუსებს ომში მეტი აფხაზის გაგზავნა სურთ. ჩვენი ისედაც მცირერიცხოვანი ერისთვის ეს კატასტროფაა, რადგან ამ ომში უკვე ისედაც დავკარგეთ ჩვენი საუკეთესო მიჭები“, – ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე თემური.

მიზეზი იმისა, რომ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, მეზობელი და მეგობარი რუსეთი ამ ნაბიჯზე წავიდა, ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ მთავარი ერთია – ზემოქმედების სურვილი აფხაზურ საზოგადოებაზე, რომელიც ბოლო ძალით ცდილობს აფხაზეთის ანექსიისგან დაცვას. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ უახლოეს ხანებში ჩვენი პარლამენტი განიხილავს რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა უცხოეთის აგენტების, აპარტამენტების, ენერგეტიკის შესახებ კანონები. ყველა ამ საკითხს შეუძლია, აფხაზი ხალხისა და აფხაზური სახელმწიფოს მომავალი კარდინალურად შეცვალოს. და ის ფაქტი, რომ რუსეთმა უკვე შეუზღუდა ელექტროენერგიის მიწოდება აფხაზეთს, რომელსაც დღეში 4 საათით ისედაც ეთიშება დენი, ბევრ რამეზე მეტყველებს.

სამომავლოდ ვითარება მხოლოდ დამძიმდება. აფხაზები ხომ კვლავინდებურად ვერ ხედავენ მომავალს სამშობლოს გარეშე და სულ უფრო მეტად სურთ ურთიერთობების ჩამოყალიბება ყველა მეზობელსა და მსოფლიოსთან. კრემლს კი ამის დაშვება არც ერთ შემთხვევაში არ სურს. ამდენად, აფხაზ ხალხს ჯერ კიდევ წინ აქვს ბრძოლა საკუთარი თავისუფლებისთვის და როგორც ჩანს, იგი ელექტროენერგიის 12-საათიანი გათიშვებით დაიწყება.

კრისტინა ავიძბა,
„აქცენტი“

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნის“ მიერ კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვარზე 35.64 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის „მეტეხი ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია
დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ფაზისი ენერჯი და იენიგუნი“
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი
საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 21 თებერვალი, 12:00 საათი, **კასპის მუნიციპალიტეტის, სოფ. თელიანის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.** 2024 წლის 21 თებერვალი, 15:30 საათი, **კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.** 2024 წლის 22 თებერვალი, 12:00 საათი, **კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. დოესის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **22 თებერვლის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: **ph@eiec.gov.ge**, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 26 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
შპს „ჯეოფერტის“ მიერ კასპის მუნიციპალიტეტში ორგანულ-მინერალური სასუქების საწარმოს ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სასუქების წარმოება
დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯეოფერტ“
დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: კასპის მუნიციპალიტეტი
საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 22 თებერვალი, 15:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: კოსტავას ქ. №18)

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 22 თებერვლის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელ-ფოსტა: : ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ). გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 26 იანვარს,** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

მედია-პლატფორმა

იტალიელები საქართველოში

„რესპუბლიკა ივენთ ჰოლში“ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ისტორიული სპორტული გამოცემის, La Gazzetta Dello Sport ქართული ვერსიის, Gazzetta Dello Sport Georgia-ს პრეზენტაცია გაიმართა.

პოპულარული იტალიური სპორტული მედია-პლატფორმის ექსკლუზიური ფრანშიზის მფლობელი საქართველოში და ევრაზიის ქვეყნებში SMH Sports გახდა.

ღონისძიებაზე სპეციალური მოწვევით იმყოფებოდნენ იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჯანლუკა ძამბროტა და კრისტიან ძაკარდო. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ვეტერანი ქართველი ფეხბურთელებიც, მათ შორის – კახა კალაძე.

ჯანლუკა ძამბროტამ კარიერა 1994 წელს 17 წლის ასაკში „კომოში“ დაიწყო. თამაშობდა „ბარიში“, „იუვენტუსში“, „ბარსელონაში“, „მილანში“. მან ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება სერია A-ში გამოჩენისთანავე მიიქცია – 2006 წელს იტალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

„საქართველოში ბევრი მეგობარი შევიძინე და მიხარია, რომ თბილისში ჩამოვედი. La Gazzetta Dello Sport იტალიაში გამორჩეული სპორტული გამოცემაა და მიმაჩნია, რომ საქართველოში მისი ბიუროს გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც ქართული ფეხბურთის ცნობადობას გაზრდის“, – განაცხადა **პრესტიან ძაკარდომ.**

ჯანლუკა ძამბროტა: La Gazzetta Dello Sport, როგორ იცით, იტალიში ძალიან მნიშვნელოვანი სპორტული გაზეთია. მიმაჩნია, რომ საქართველოში მისი შემოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც გააუმჯობესებს ორი ქვეყნის საფეხბურო სამყაროს ურთიერთობას – შესაბამისად, ფეხბურთისთვისაც და ჩვენი ურთიერთობებისთვისაც დიდი წინსვლა იქნება“.

საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, თბილისის მერმა კახა კალაძემ კომენტარი გააკეთა საქართველოში ცნობილი იტალიური გამოცემის ქართული ვერსიის, Gazzetta Dello Sport Georgia-ს დაარსებაზე.

„ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, რომ La Gazzetta Dello Sport საქართველოში ოფიციალურად არის წარმოდგენილი, რაც ძალიან მახარებს. მინდა, მივულოცო სპორტის გულშემატკივრებს ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო SMH Sports დამფუძნებელს, ლაშა მაჭავარიანს, რომელიც მართლაც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს ქართული სპორტისთვის და ქართული ფეხბურთისთვის. მგონია, რომ ასეთი პროექტები ხელს შეუწყობს ქართული სპორტის და ფეხბურთის პოპულარიზაციას.

მახსოვს, წლების წინ, როდესაც იტალიაში ვთამაშობდი, რამდენად რთული იყო სერია A-ს მატჩების ნახვა. ხალხი ღამეებს ათენებდა, რომ თამაშებისთვის უცხოურ არხებზე ეყურებინა.

დღეს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს – ფეხბურთის გამო ისევ ღამეებს ვათენებთ, რომ ვუყუროთ „კვარას“ და ჩვენს სხვა ბიჭებს, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თამაშობენ და გვახარებენ. უკეთესი შესაძლებლობაა, რომ ჩვენი სპორტსმენების და ფეხბურთელების შესახებ მეტი ინფორმაცია მივიღოთ. იტალიური გამოცემის ეს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ დადებითად შემიძლია შევაფასო.

რა მახსენდება ამ გამოცემაში ჩემზე დაწერილი სტატიებიდან? ყველაზე მეტად „ინტერთან“ „მილანმა“ 1:0 რომ გავიმარჯვეთ და ეს მატჩი ჩემი გატანილი გოლით მოვიგეთ. ჩემპიონთა ლიგაზე გამარჯვებები – რა ვიცი, ბევრი რამ. მიჭირს ამ ყველაფრის გახსენება. ჩემთვის ეს ემოციური დღეა, რადგან ამ გამოცემასთან წლების განმავლობაში ვთანამშრომლობდი და დღესაც, სხვათა შორის, კარგი ურთიერთობა მაქვს. მიხარია, რომ საქართველოში იქნებიან წარმოდგენილები“, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

◎ ტატამზე

ჩიხელიძის ვერცხლი

პარიზის გრანდ სლემზე საქართველოს პირველი მედალი გიორგი ჩიხელიძემ მოუტანა, რომელიც ვერცხლს დაეუფლა.

73 კგ წონით კატეგორიაში ჩიხელიძემ ჩეხი ჩუსნიდინ კარიმოვი, რუმინელი ალექსანდრუ რაიკუ, ბრაზილიელი გაბრიელ ფალკაო და მოლდოველი ადილ ოსმანოვი დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც უზბეკ შახრან ახადოვსაც სძლია და ფინალში აღმოჩნდა, სადაც იაპონელ ტაცუკი იშიჰარას შეხვდა, მაგრამ მარცხი განიცადა.

◎ ელიტაში

17 წლის ჭალანჭი



მარი ალავიძე მხატვრულ ცურვაში მსოფლიოს 8 საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა დოჰაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე სენიორთა შორის ტექნიკური სოლო პროგრამა შეასრულა, სადაც 216.7634 ქულა დააგროვა და მსოფლიოს 50 სპორტსმენს შორის მე-8 ადგილი დაიკავა. 17 წლის მარი ალავიძემ, ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება წინაწარ შეჯიბრზე მოიპოვა, სადაც მე-7 ადგილზე გავიდა.

◎ ფორუმი კორეაში

საზეიმოდ დაიხურა

განგვონში გამართული ზამთრის მეოთხე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ჰოკეისტთა ცენტრის სიახლოვეს, ღია სივრცეში მუსიკალურად გაჯერებული ცერემონიით დაიხურა.

წარმოდგენაში მონაწილეობდნენ კორეელი რეპერები და მუსიკალური ჯგუფები, ასევე ადგილობრივი ახალგაზრდული გუნდი. შედგა მონაწილე ქვეყნების დროშების აღლუმი.

დახურვის ცერემონიაზე საქართველოს ოლიმპიური გუნდის მედროშეები იყვნენ ფიგურულად მოციგურავეები – **კონსტანტინე სუპატაშვილი** და **ინგა გურგენიძე**.

დამსწრეთა შორის იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **თომას ბახი.**

მასპინძლებმა დახურვის ცერემონიის სტუმრებს და თავად ახალგაზრდა ოლიმპიელებს ვიდეომონტაჟის დახმარებით 13-დღიან ასპარეზობათა ერთგვარი სანახაობრივი ვიდეოკოლაჟი შესთავაზეს. დახურვის ცერემონიის კულმინაცია იყო მოხალისეების და განგვონი-2024-ის თილისმა მუნჩოს მიერ ოლიმპიური ცეცხლის ჩაქრობა. ზამთრის მეოთხე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 11 ოქროს, 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედლით პირველ ადგილზე გავიდა იტალია. მეორე ადგილი ერგო გერმანიას (9-5-6), მესამეზე კი მასპინძლები აღმოჩნდნენ (7-6-4).

მთლიანობაში მედლები 30 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. მათ შორის, ზამთრის ახალგაზრდულ თამაშებზე პირველად შეძლეს კვარცხლბეკზე ასვლა ბრაზილიამ, ტაილანდმა, თურქეთმა და ტუნისმა.

შეგახსენებთ, რომ განგვონის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში სპორტის 7 სახეობის 15 დისციპლინაში მონაწილეობა მიიღო 78 ქვეყნის 1900-მდე სპორტსმენმა, მათ შორის საქართველო სპორტის 3 სახეობაში (ფიგურული ციგურაობა, ტრამპლინიდან ხტომა, ციგაობა) 6 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ინგა გურგენიძემ, რომელმაც ფიგურულ ციგურაობაში მე-5 ადგილი დაიკავა.

◎ აფრიკის თასი

მეკარის გმირობა

აფრიკის საფეხბურთო თასზე მეოთხედფინალური ეტაპი დასრულდა, რის შედეგადაც ყველა ნახევარფინალისტი ცნობილია.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა პენალტების სერიაში აჯობა კაბო ვერდეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. 120 წუთი უგოლოდ მიილია, ხოლო თერთმეტმეტრიანებში სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეკარემ **რონვენ უილიამსმა** გაიბრწყინა, რომელმაც 5-დან 4 პენალტი მოიგერია!

32 წლის მეკარემ ზედიზედ 3 დარტყმა უკუგდო, მეოთხე გაუტანეს, მაგრამ ბოლო, მეხუთე პენალტიც აიღო და სამხრეთ აფრიკა ნახევარფინალში გაიყვანა. „ბაფანა ბაფანას“ ფეხბურთელებმა 4-დან 2 პენალტი დაარტყეს ზუსტად და სერია 2:1 მოიგეს.

აფრიკის თასზე ნახევარფინალური წყვილები ასეთია: ნიგერია – სამხრეთ აფრიკა (7 თებერვალი) და კოტ დივუარი – კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (8 თებერვალი).

◎ ფორმულა – 1

ამიერიდან – ფერარიში

ლუის ჰემილტონი 2025 წლიდან „ფერარის“ წევრი იქნება. ეს ინფორმაცია აღრე მედიაში გავრცელდა, მაგრამ ამჯერად ოფიციალურად დადასტურდა.

„მერსედესმა“ დაადასტურა, რომ 2024 წლის სეზონი ბრიტანელისთვის გუნდში ბოლო იქნება, ხოლო იტალიელებმა გუნდში გაისად მისი მისვლის ამბავი დაადასტურეს, შესაბამისად, 2025 წლიდან ის იტალიურ საჯინიბოს შეუერთდება.

ლუის ჰემილტონი „ფერარიში“ კარლოს საინსს შეცვლის და შარლ ლეკლერთან ერთად დაიცავს იტალიური გუნდის ღირსებას. შეგახსენებთ, რომ ლუის ჰემილტონი მსოფლიოს 7-გზის ჩემპიონი და ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მრბოლელია.

რა საფეხურების გავლაა საჭირო ქართული სურსათის ევროკავშირში ექსპორტისთვის?

ევროკავშირის ბაზარზე შესატანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.



გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის გასატანად საქართველომ სამი მთავარი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს:

- **პროდუქტის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს;**
- **ექსპორტის მსურველს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია როგორც პროდუქტის წარმოების სრული ჯაჭვის, ასევე საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად ჩატარებული შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების შესახებ;**
- **საქართველოში უნდა ფუნქციონირებდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის (ინსპექტირება, ზედამხედველობა, მონიტორინგი და ა.შ.) მსგავსი სისტემა.**

აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ქვეყნის DCFTA-თი გათვალისწინებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან.

DCFTA-ს ძალაში შესვლიდან 6 თვეში საქართველომ ევროკავშირს წარუდგინა ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების პროგრამა, რომელიც პრიორიტეტულ სფეროებადაა დაყოფილი. ამ სფეროებიდან ევროკავშირში ექსპორტირების მიზნით, ცალკეული სექტორის, ქვესექტორის, საქონლის ან საქონლის ჯგუფისათვის შეიძლება ჩატარდეს ინდივიდუალური ღონისძიების ან ღონისძიებების ჯგუფის ეკვივალენტური დადგენის პროცედურა.

ეკვივალენტობის პროცედურა შესაძლებლობას აძლევს მთავრობას, არ დაელოდოს საკანონმდებლო პროცესის დასრულებას და პრიორიტეტული სექტორისათვის ეკვივალენტობის დადგენა მოითხოვოს.

მაგალითად:

თევზის ევროკავშირში გატანის შემთხვევაში:

- **დოკუმენტურად ან ინსპექტირების გზით შემოწმდება საქართველოში თევზის დაავადებების სტატუსი;**
- **თევზის საწარმოების ინსპექტირებისა და კონტროლის სისტემის ეფექტიანობა;**
- **თევზის შემადგენლობის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობა.**

ევროკავშირის ბაზარზე შესატანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. დაბალი რისკის სურსათი (მაგალითად, სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული) შედარებით უფრო მარტივად შევა ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე მაღალი რისკის (მაგალითად, ხორცისა და რძის პროდუქტები) სურსათი.

გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის გასატანად საქართველომ სამი მთავარი მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს:

- **პროდუქტის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს;**
- **ექსპორტის მსურველს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია როგორც პროდუქტის წარმოების სრული ჯაჭვის, ასევე საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად ჩატარებული შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების შესახებ;**

სურსათის ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს ასეთი საწარმოების სიას და ევროკავშირს წარუდგენს გარანტიებს, რომ ეს კომპანიები აკმაყოფილებს ევროკავშირში არსებულ უვნებლობისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია, რომ ეკვივალენტობის აღიარება, გარდა იმისა, რომ მეწარმეს მისცემს გარკვეული პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე შეტანის საშუალებას, ასევე გაამარტივებს საზღვარზე ფიზიკურ შემოწმებასა და პროდუქტის გაყიდვამდე განსაზღვრულ პროცედურებს.

40 დღე გასულა...



ტკივილიანი განცდა

თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნას

გახშირდა ხალხში ამ გულის ფეთქვა,
არ მასვენებდა წადილი მზარდი,
გიხილეთ დიდი ჰოეტის ძეგლთან,
მივიღე თქვენი მე მისამართი.

შეხვედრას ფიქრი კვლავ ესწრაფვოდა,
ვიეაე იმედით აწ სხივაშლილი,
მწერალთა სახლში ერთურთთან
გვქონდა
სატელეფონო ბაასი თბილი.

თქვენეულ თხოვნით იქ მივიტანე
ჩემი წიგნები და საბუთები,
ველოდე მერე თვეობით და მე
მამცნეთ, რომ წევრი კაშირის ვხდები.

ახალი ნახვაც სულს დაემალა,
ვიხმეთ წარსული სწავლულთა ბაღში,
მიხსენეთ გრძნობით მშობელი მამა
და მადლიერი გულწრფელად დავრჩი.

მაგრამ მოეკარეს გტანჯავდათ სნება,
აღმოჩნდა მმიმე წულულებთან ბრძოლა,
ვერ დაგეუფლათ ნანატრი შვება,
გიწვედათ კვლავაც ქსენონში წოლა.

გრაცხავთ, ვით ძალუმ სტრიქონთა
ავტორს,
მოკვდავთა მიმართ სიკეთით სავსეს...
თქმას ტკივილიანს წმინდა ხატს ვანდობ,
ვერ გაგაცილეთ ამ ბოლო გზაზე...

ვახტანგ გოგიჩაიშვილი

იანვარი 2024 წელი.

იანვარში ბოსტნეულსა და პურ-პროდუქტებზე ფასები შემცირდა

ნლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების კლებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, – ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. საქსტატის ცნობით, ჯგუფში ფასები შემცირდა 2.4 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე – 0.82 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები –15.9 პროცენტით შემცირდა ზეთსა და ცხიმზე. ბოსტნეული და ბაღჩეული – 11.3 პროცენტით გაიაფდა.

„ფასების – 9-პროცენტიანი კლება დაფიქსირდა პურსა და პურ-პროდუქტებზე. რძე, ყველი და კვერცხი – 4.1 პროცენტით გაიაფდა. ამასთან, ფასები 19.7 პროცენტით გაზრდილია ხილსა და ყურძენზე. ხორცი და ხორცის პროდუქტები 6.1 პროცენტით გაძვირდა. ასევე, ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში ფასები შემცირდა 3.3 პროცენტით, რაც – 0.32 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინდექსზე.

ფასები – 7.7 პროცენტით შემცირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ქვეჯგუფზე. ამასთან, ფასები 5.6 პროცენტით გაიზარდა ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე, ხოლო 3.9 პროცენტით გაძვირდა საავადმყოფოების მომსახურება. ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.3 პროცენტით, რაც 0.53 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე. ფასები მომატებულია სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (7.8 პროცენტი), პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (4.2 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (2.8 პროცენტი); სხვადასხვა საქონელი და მომსახურება: ჯგუფში ფასები გაზრდილია 9.2 პროცენტით, რაც წლიურ ინდექსზე 0.49 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მატება დაფიქსირდა ქვეჯგუფებზე: საფინანსო მომსახურება (26.6 პროცენტი), პირადი ნივთები, სხვა კატეგორიებში ჩაურთველი (4.4 პროცენტი) და პირადი ჰიგიენა (4.1 პროცენტი); ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 3.5 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.24 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (4.8 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (2.8 პროცენტი)“, – აღნიშნულია საქსტატის ანგარიშში.

ქოლცენტრების თაღლითებს ხელბორკილები დაადეს!

თაღლითური ქოლცენტრების საქმეზე დაკავებულთა რიცხვი 6-მდე გაიზარდა. „პირველებმა“ ბოლო დროის ყველაზე გახმაურებულ საქმეზე ახალი დეტალები გაარკვია. დაკავებულთა შორის ელზა დავი, ანა კვანტალიანი, ნანა კორსავა, ლევან კობახიძე, გიორგი გეგეშვილი, ნონა ფარეხელაშვილი და იოსებ მჭედლიშვილი არიან. ყველა მათგანს უკვე ბრალი აქვს წარდგენილი. ედავებიან ფულის გათეთრებას და თაღლითობასაც.

გამოკითხვების სერია შოთაძის უწყებაში გუშინაც გაგრძელდა, სადაც დამატებით კიდევ ორ პირს დაიბარებენ. ესენი იმ კომპანიის თანამშრომლები არიან, რომლებიც ისანში, ჰერბრუკის ქუჩაზე ჩხრეკას დაესწრნენ. ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფებსაც ხელბორკილები დაადონ.

ჩემი დასაცავი პირები დაბარებულები არიან საგამოძიებო ორგანოში გამოკითხვასთან დაკავშირებით. გუშინწინ იქნენ დაბარებული, ჩვენ ორშაბათს ვაპირებთ, რომ მივცეთ ჩვენება. რაც შეეხება დაკავებას, ამაზე ვერ გიპასუხებთ, იმიტომ, რომ თუ ბრალდების მხარეს ექნება მტკიცებულებები სათანადო, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე, რა თქმა უნდა, წარეგდინებათ მათაც ბრალი, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენ ვართ დაბარებული ამ ეტაპზე მხოლოდ გამოკითხვაზე, – ამბობს ლიკა გითაძე.

ქარელის პოლიციის უფროსსა და მის მოადგილეს ესროლეს!

პოლიციის უფროსს ილია სააკაშვილს და მის მოადგილეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. ამბავს პოლიციის უფროსი თვითონვე ადასტურებს. შსს პოლიციის მაღალჩინოსნებზე თავდასხმას საგულდაგულოდ მალავდა.

„ყველაფერი ძალიან კარგად არის. კი მატყობთ ნორმალურად ვარ, ჯიგრულად. ყველაფერი დევს საგამოძიებო საქმეში... გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს ვერ გეტყვით. ყველანი გადავრჩით, კარგად ვართ, ჯანმრთელად“, – ამბობს პოლიციის უფროსი.

მისივე თქმით, ბრალდებული, 1990 წელს დაბადებული ავთანდილ ბარბაქაძე დაკავებულია, ცეცხლსასროლი იარაღი კი, რომლიდანაც მათ ცეცხლი გაუხსნეს, ამოღებული. შსს-მ სამი დღის წინ მომხდარ თავდასხმაზე გამოძიება სსკ-ის სამი მუხლით დაიწყო – პოლიციელებზე თავდასხმა, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-გამოყენება და სიცოცხლით ხელყოფით მუქარა. დაკავებულს ბრალი უკვე წარედგინა და გორის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ჩვენი ინფორმაციით, მას ადვოკატის მომსახურებით არ უსარგებლია და უცნობია, აღიარებს თუ არა დანაშაულს. როგორც დაკავებულის მეზობლები ამბობენ, შელაპარაკება ბარბაქაძეს ჯერ მეგობართან მოუვიდა, რის შემდეგაც ისროლა. ამის შემდეგ ადგილზე პოლიცია მივიდა და ბარბაქაძემ მათი მისამართითაც გახსნა ცეცხლი, თუმცა სამართალდამცველებმა ბარბაქაძის განიარაღება და დაკავება ადგილზე შეძლეს.

სპილენძის ქურდმა დანაშაული აღიარა

საგერძნეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. 39 წლის მამაკაცს სპილენძის ქურდობას ედავებიან. პოლიციამ ეჭვმიტანილი საცხოვრებელი კორპუსის ბოლო სართულზე აიყვანა. მას ახლა შვიდთვიანი პატიმრობა ემუქრება.

ბერძნული მედიის ცნობით, მამაკაცი წარსულში ასევე ქურდობისთვის იყო ნასამართლევი, თუმცა სალონიკის საპატიმროდან თანამზრახველთან ერთად გაიქცა. როგორც მედია წერს, კაცმა საკანში ზეწრისგან 20-მეტრიანი თოკი გააკეთა, ფანჯრიდან გადაძვრა და გაიქცა.

რობინ ლ. დანიგანი: „პეტრას ციხე სიმბოლოა იმისა, რომ საქართველო ყოველთვის იყო ევროპის ნაწილი“

აშშ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად დამატებით 135 000 დოლარს გამოყოფს, – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

კერძოდ, სამინისტროს ცნობით, ამჟამად შეერთებული შტატები პეტრას ციხეზე აღმოჩენილი მოზაიკისა და მიმდებარე უბნების კონსერვაციისთვის 135 000 დოლარს გამოყოფს.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ „პეტრას ციხეზე აღმოჩენილი მოზაიკის და მიმდებარე უბნების კონსერვაციისთვის“ მოიპოვა აშშ-ის საელჩოს გრანტი 135000$-ის ოდენობით. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს აჭარის რეგიონში, პეტრას ციხეში, აღმოჩენილი მოზაიკისა და მიმდებარე ტერიტორიის კონსერვაციას. იმ მახასიათებლებისა და ღირებულებების დაცვა შენარჩუნებას, რომლებმაც პეტრას ციხე ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე გამორჩეულ ნიმუშად აქცია, – აცხადებენ სამინისტროში.

მისი ცნობით, აშშ-ს ელჩმა **რობინ ლ.დანიგანმა** თავად მოინახულა პეტრას არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი, მოისმინა ძეგლის უმნიშვნელოვანესი ისტორია.

„ეს ციხე და ყველა არტეფაქტი, რომელიც აქ აღმოაჩინეს ნამდვილად სიმბოლოა იმისა, რომ საქართველო ყოველთვის იყო ევროპის ნაწილი და წარმოაჩენს თქვენს ევროპასთან კავშირს ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნიდან. შეერთებული შტატები მოხარულია უზრუნველყოს, რომ მომავალმა თაობებმა შეძლონ ამ საოცარი ისტორიული ადგილის ნახვა“, – განაცხადა ელჩმა.

სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანმა ისაუბრა რეგიონისთვის აღნიშნული ძეგლის მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ გრანტი მოხმარდება პეტრას ციხეზე უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის და აღმოჩენების კონსერვაციას. ასევე ხაზი გაუსვა ძეგლის მნიშვნელობას მომავალი თაობებისთვის.

ცნობისთვის: ბოლო 21 წლის განმავლობაში შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით 2 000 000 დოლარის ღირებულების 20-ზე მეტი პროექტი განახორციელა.

ჯაშუში მტრედი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

ინდოეთში 8-თვიანი პატიმრობის შემდეგ ვეტერინარული კლინიკიდან გათავისუფლდა მტრედი, რომელიც ჩინეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში იყო ეჭვმიტანილი.

მტრედი 2023 წლის მაისში მუმბაის შემოგარენში, ჩემბურის პორტში დაიჭირეს. მას ფეხებზე ერთი სპილენძის და ერთი ალუმინის მეჭედი ჰქონდა მიმბული, მეჭდებზე კი ჩინურ ენაზე წარწერები იყო დატანილი. ადგილობრივ პოლიციაში ივარაუდეს, რომ მტრედს ჯაშუშობის მიზნით იყენებდნენ, და ფრინველი მუმბაის ვეტერინარულ კლინიკაში გამოკეტეს. მოგვიანებით პოლიციამ გაარკვია, რომ მტრედი ტაივანის ღია წყლებში შეჯიბრებებში მონაწილეობდა. ერთ-ერთი შეჯიბრის დროს ის ქვეყნის ფარგლებს გასცდა და ინდოეთში გაფრინდა.

მსახიობთა რიგებს კარლ უეზერსიც დააკლდა

ამერიკელი მსახიობი კარლ უეზერსი 76 წლის ასაკში გარდაიცვალა. კარლ უეზერსი ფილმ **როკიში** განასახიერებდა აპოლო კრიდს.

„ღრმა მწუხარებით ვაცხადებთ კარლ უეზერსის გარდაცვალების შესახებ. ის მშვიდად გარდაიცვალა ძილში 2024 წლის 1 თებერვალს. კარლი იყო განსაკუთრებული ადამიანი, რომელიც არაჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა. კინოში, ტელევიზიაში, ხელოვნებასა და სპორტში შეტანილი წვლილით მან წარუშლელი კვალი დატოვა. ის იყო საყვარელი ძმა, მამა, ბაბუა, პარტნიორი და მეგობარი“, – ნათქვამია მსახიობის ოჯახის განცხადებაში.

კარლ უეზერსის ფილმოგრაფია მოიცავდა ისეთ ფილმებს, როგორიცაა **მანდალორელი**, **მტაცებელი**, **როკი** და ა.შ.

ცისარტყელას ფერები – ექსტრემისტული სიმბოლო

რუსეთში, ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში დააკავეს ქალი, რომელსაც ცისარტყელას ფერებში გაფორმებული საყურე ეკეთა. საყურეების ფოტო ორგანიზაცია ეგიდამ გაავრცელა.

საყურეებს გაყაყის ფორმა აქვს და ცისარტყელას შვიდ ფერშია შესრულებული. ანასტასია ერშოვა, რომელსაც საყურეები ეკეთა, „ექსტრემისტული სიმბოლოების დემონსტრირების“ ბრალდებით დააკავეს. 31 იანვარს სასამართლომ ის ხუთი დღით დააკავა. გადაწყვეტილების დასაბუთებისას სასამართლომ რუსეთის უზენაესი სასამართლოს დადგენილება მოიშველია, რომლის თანახმადაც „საერთაშორისო ლგბტ მოძრაობა“ ექსტრემისტულ ორგანიზაციად არის მიჩნეული.

თუმცა როგორც Meduza წერს, ცისარტყელა ლგბტ-სიმბოლიკად მიჩნეული ვერ იქნება, რადგან ფერადი ლგბტ დროშა ექვსი ფერისგან შედგება. ამის შესახებ ერშოვას საქმეშიც არის ნათქვამი: „მოძრაობის საერთაშორისო სიმბოლოა ექვსი ზოლისაგან შემდგარი დროშა, რომლის ფერები ზემოდან ქვევით მიდის – წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და იასამნისფერი“.

ადვოკატის თქმით, სხდომაზე არ დადგინდა, თუ რა სახის „ექსტრემისტული სიმბოლოები“ იყო გამოსახული საყურეზე და კითხვებს ვერც ოქმის შემდგენმა პოლიციელებმა გასცეს პასუხი.

იტალიური მაფიის ბოსი საფრანგეთში დააკავეს

საფრანგეთში დააკავეს იტალიური მაფიის ბოსი მარკო რადუანო, რომელიც სარდინიის ციხიდან ზეწრების საშუალებით გაიქცა.

40 წლის მარკო რადუანო, რომელიც სარდინიის ციხიდან გასული წლის თებერვალში გაიქცა და ევროპოლის მიერ იძებნებოდა, კუნძულ კორსიკაზე დააკავეს. მას ნარკოტიკებით ვაჭრობისა და სხვა დანაშაულებისთვის 24-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი. იტალიური პოლიციის ცნობით, ესპანეთის ქალაქ გრანადაში ასევე დაკავეს რადუანოს „მარჯვენა ხელი“ ჯანლუიჯი ტროიანო. რადუანო ფოჯას კრიმინალური სინდიკატის მეთაურად ითვლება, რომელსაც სიძლიერით მეოთხე იტალიურ მაფიას უწოდებენ – სიცილიური, კალაბრიული და ნეაპოლიტანური მაფიის შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ბაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
ჰოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 7 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6682; ევრო - 2.9042;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4051;
100 რუბლი - 2.9498; თურქული ლირა - 0.0882;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5698;
1000 სომხური დრამი - 6.6182

ამინდი 5 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-3,	დღე +10
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე +6
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	0,	დღე +12
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე +2
თბილისი:	ღამე	+1,	დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge